

ZURAB ZVIADAURI

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



0 საქართველოს კერძო სამსახური

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenashvili

პროექტის კოორდინატორი
რუსულან აფცაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsauri

ტექსტი
ელგუჯა ბერიშვილი

TEXT
Elguja Berishvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქტორი
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, თამაზ ხარაბაძე, კარლო ფაჩულია,
ზაულ აზჯაფარიძე, ინგა ალავიძე, ნინო ხარაბაძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, Tamaz Kharabadze, Inga Alavidze, Karlo Pachulia,
Zaal Anjaparidze, Nino Kharabadze, Maia Berishvili, Ivane Burnadze

ფოტო
ავთანდილ გურასაშვილი, ბადრი კეთილაძე, პაატა ვარდანაშვილი,
ალექსანდრე კოტორაშვილი, ჯემალ კასრაძე, ელდარ მალხაზიშვილი,
www.sportphoto.ge

PHOTO
Avtandil Gurasashvili, Badri Ketiladze, Paata Vardanashvili,
Aleksandre Kotorashvili, Jemal kasradze, Eldar Malkhazishvili,
www.sportphoto.ge

პარტნიორები
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ძიუდოს ფედერაცია

PARTNERS
Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Judo Federation

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

ზურაბ ზვიადაშვილი

2012

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION



გმირი კოპალა ცხენზე ზის,
ცხენი მიდის და გოგდება,
მის სამტროდ დევნი აშლილან,
ყველა დიდ მთაზე გროვდება.
გმირი კოპალას შიშითა
დევნებს ვერ გაუხარიათ,
მისი მარჯვენა მძლავრია,
მისი დაკრული მწარეა.

„მის ასაკში ჩვენი რაიონის არც ერთი თაობის მოჭიდავეს არ მიუღწევია ისეთი წარმატებისთვის, რაც ზურაბ ზვიადაურმა შეძლო. ჭიდაობის სექციაში სიარული უფროსი ძმების მიბაძვით რვა წლისამ დაიწყო. ძმებმა ჭიდაობას მალე მიანებეს თავი, ზურას კი ამის უფლება არ მისცეს. როგორც თავად ამბობს, ძალიან ზარმაცი იყო, ვარჯიშს ხშირად აცდენდა, რაზეც ძმები საყვედურობდნენ და ხანდახან წამოუთაქებდნენ კიდეც. უფროს ძმებს თითქოს გული უგრძნობდათ, რომ ნაბოლარა ძმა ჭიდაობისთვის იყო დაბადებული და წინ დიდი წარმატებები ელოდა. იმავე აზრისა იყო ზურას პირველი მწვრთნელი გუგული აბრამიშვილიც — თუ მოინდომებს და აქტიურად ივარჯიშებს, მისგან ნამდვილი მოჭიდავე დადგებაო. დადგა კიდეც. ოცდაორი წლის ზურაბ ზვიადაური, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მოსწავლეთა და ჭაბუკთა შორის, ტრიუმფით გავიდა დიდ სპორტულ სარბიელზე და წარმატებას წარმატება მოჰყვა: 1998 წელი, ჭაბუკთა მსოფლიო თამაშები — ვერცხლის მედალი; 2000 წელი, მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა — ოქროს მედალი; 2001 წელი, მსოფლიოს ჩემპიონატი — ვერცხლის მედალი; 2002 წელი, ევროპის გუნდური ჩემპიონატი — ოქროს მედალი; 2003 წელი, ევროპის გუნდური ჩემპიონატი — ვერცხლის მედალი; 2003 წელი, მსოფლიოს ჩემპიონატი — ვერცხლის მედალი; მოპოვებული აქვს ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია.“

ომარ მარუქაშვილის წიგნი „ახმეტელი ფალავნები“, საიდანაც ეს ტექსტია აღებული, 2004 წლის გაზაფხულზე გამოიცა, ზურაბ ზვიადაურის ოლიმპიურ გამარჯვებამდე რამდენიმე თვით ადრე. კრებულში შესულია სა-





ინტერესო ცნობები ფარნაოზ ჩიკვილაძის, ანზორ ქიბრონაშვილის, სიმონ მაისურაძის, შენგელი ფიცხელაურის, ბუღდან ბალაკაშვილის, თემო ყაზარაშვილის, ალექსა დავითაშვილის და სხვა ცნობილი ახმეტელი მოჭიდავეების შესახებ. ცალკე თავი ეთმობა ზურაბ ზვიადაურს. ეს წიგნი თავად ომარმა მისახსოვრა, როცა 2004 წლის შემოდგომაზე ზურაბ ზვიადაურის დიდი გამარჯვების აღსანიშნავად ახმეტაში გამართულ ზეიმზე მოვხვდი. უამრავი ხალხი შეიკრიბა ახმეტაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ზეიმის მთავარმა ორგანიზატორმა ანზორ ქიბრონაშვილმა ინგლისიდან მეუღლითურთ საგანგებოდ მოიწვია ძიუდოისტთა ოლიმპიური ტურნირის ოფიციალური დიეტორი (საიდან მოიფიქრა, ან როგორ გამოძებნა), ქალბატონი კეტრინ ადამსი. ეს ის ქალბატონია, რომელმაც 2004 წლის 18 აგვისტოს, თბილისის დროით 18 საათსა და 45 წუთზე ათენის ანო ლიოსიას ოლიმპიურ დარბაზში, იქ შეკრებილი გულშემატკიცერების და მთელი მსოფლიოს გასაგონად საზემოდ გამოაცხადა: „Gold medal and Olympic champion representing Georgia, Zurab Zviadauri.“ კეტრინ ადამსმა იგივე გაიმეორა ახმეტაში და ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მომენტი მართლაც უჩვეულო სახალხო დღესასწაულისა, რომელიც ნაშუადღევს ქართული ჭიდაობით დაიწყო, ცეკვა-სიმღერით გაგრძელდა და დიდი ლხინით დასრულდა.

სწორედ იმ დღეს, ახმეტის ცენტრში მოწყობილ ნახერხმოყრილ საჭიდაოსთან გავიცახი გულშემატკიცერები — ენერგიული შუახნის კაცი, რომელმაც ზურაბ ზვიადაურს ძიუდოს პირველი გაკვეთილი ჩაუტარა: „ძალიან ცელქი ბავშვი იყო, სამჯერ მყავს დარბაზიდან გაგდებული. ისე, ბავშვი ცელქი უნდა იყოს, ოღონდ უზრდელი — არა. ამაზე მქონდა ხოლმე გართულება. როგორც კი თვალს მოვაშორებდი, ცელქობდა. ძიუდო კი განსაკუთრებით მოითხოვს დისციპლინას. ამას ვუნერგავდი ბავშვებს. ზურა თავიდან ამ კალაპოტში ვერ ჯდებოდა. აი, იმ სამი შემთხვევის შემდეგ იდეალური ყოფაქცევის ბავშვი გახდა. მერე მაგისტრის შენიშვნა არ მიმიცია, ისე დაამთავრა სკოლა. დარბაზიდან შორს ცხოვრობდნ. რამდენიმეჯერ მქონდა შემთხვევა, მანქანით მივაკითხე და სახლში არ დამხვდა. იქვე ახლოს ჩამოდის მდინარე ორვილი. ვიკითხავდი ბავშვებში, ხომ არ გინახიათ-მეთქი. მეტყოფნენ, იქ არის, ბანაობსო. გავიდოდი, დავიჭრდი-ხოლმე. უყვარდა ბანაობა. ბავ-

შვობაში ვეძახდით ავთოს, ავთანდილს. მისი უფროსი ძმებიც ჩემთან ვარჯიშობდნენ — სპარტაკი და ზვიადი. ორივენი ყურადღებას აქცევდნენ, თუ ვარჯიშს გააცდენდა, ეჩხუბებოდნენ... ახმეტის ცენტრში არ იყო ნახერხმოყრილი საჭიდაო. ჩვენ ქართულს ვაჭიდავებდით ძიუდოს ჩოხებში. ქართულის ფანდები ძირითადია, მერე მოდის შებოჭვა, მტკიცნული ილეთები. ზურას ძალიან უყვარდა ქართული ჭიდაობა და როცა წამოიზარდა, ხშირად დადიოთდა ქართული ჭიდაობის ტურნირებზე.“

სპარტაკ ზვიადაური (უფროსი ძმა): „ერთხელ ზამთარში, ფიზიარიადკაზე წავიყვანე ზურა და ჩვენი შუათანა ძმა ზვიადი. დიდი თოვლი იყო და სირბილი გაუტირდა. ჩვენ ნინ დავუდექით და გზას ვუკვალავდით. დაიღალა, ვერ მოგვდევს. დავუცაცხანე, აბა, ნუ ზარმაცობ, ჩქარა გამოიქეციმეთქი. არა, მე პატარა ვარ, არ შემიძლია, ის კი დიდია, ის გაიქცეს — შუათანასკენ გაიშვირა ხელი. საერთოდ, ვარჯიშით თავს არ იკლავდა. მაგას რომ მაგრად ევარჯიშა! თავისი სტილი ჰქონდა, ენერგიას ზოგავდა. ისეთი ეშმაკი იყო... ვითომ ვარჯიშზე მიდიოდა, სპორტულ ჩანთას აიკიდებდა, მაგრამ რომელიდაც ორლობები გადაუხვევდა და მერე ვეძებდით მთელი ოჯახი.“

სპარტაკმა ვარჯიშს თავი რომ მიანება, მას ცოტა ხანში ზვიადიც მიჰყვა. დარჩა ზურაბი, რომელსაც ჯერ ოჯახი და ნათესავ-მეგობრები, მერე კი მთელი ახმეტა გულშემატკივრობდა — პირველივე ტურნირებზე გამოჩნდა, რომ ნიჭიერი ბავშვი იყო. ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი. თავადაც ამბობს, ძალიძალად ვვარჯიშობდი, სახლში ერთი ჩხუბი და ამბავი გვქონდაო. ჭიდაობა და ლეიბზე კოტრიალი კი მოსწონდა, მაგრამ კროსი და ეგეთები ჭირის დღესავით ეჯავრებოდა: „გვიან მივხვდი, რომ შედეგისთვის ვარჯიშია საჭირო. მეშვიდე-მერვე კლასამდე ცელქი და მოუსვენარი ვიყავი, ხულიგანი. ადამიანი რომ იზრდება, მერე ჭკუაში ვარდება. რომ არა ჩემი ძმები, ჩემი მამიდაშვილი თემურ შეთეკაური, ყოფილი სამბისტი, მწვრთნელი გუგული აბრამიშვილი, მე დღეს ზურაბ ზვიადაური არ ვიქნებოდი.“

აბა, ახლა გუგული აბრამიშვილს ჰქითხეთ და ნახეთ, რას გიპასუხებთ: „ხშირად ამბობენ და თვითონაც იძახის — ზარმაცი ვიყავიო. მე მაგას არ ვეთანხმები. ჯერ ერთი, შეჯიბრებაზე გიუდებოდა, ცალი ხელი რომ არა



ჰქონდა, მაინც გავიდოდა ტატამზე და იჭიდავებდა. საოცრად მებრძოლი და აზარტული იყო. ეგ არის, ჩოქბჯენში ვარჯიში ეზარებოდა. ვეუბნებოდი, გამოგადგება, შეტევა თუ არა, ჩოქბჯენში დაცვა მაინც უნდა შეგეძლოს-მეტე. მახსოვს, 1996 წელს ანკარაში ულამაზესი გდებებით სამი ბრძოლა მოიგო, მაგრამ მერე მტკივნეულით წააგო. ხომ გეუბნებოდი, ჩოქბჯენიც დაგჭირდება-მეტე. ამ საქმეში ნამდვილად მოიკოჭლებდა. დღემდე აქვს ეს მინუსი.“

მოკლედ, ზურაბ ზვიადაურის სიზარმაცის ამბავი მაინც საკამათო ჩანს, მაგრამ მისი ნიჭიერება საეჭვო არასოდეს ყოფილა. გუგული აბრამიშვილი დარწმუნებულია, რომ რამდენივე ვარჯიშისა და პირველივე შეჯიბრებების შემდეგ უკვე კარგად ჩანს მოზარდის პოტენცია და ტალანტი — ნიჭიერი ბავშვი მაინც გამორჩეულია. ზვიადაურისთვის პირველი შეჯიბრება იყო მამუკა გაგუნაშვილის სახელობის ტურნირი. მაშინ 38 კილოს იწონიდა. გაცილებით უფროსებს ეჭიდავა და მეორე ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ რუსთავში წაიყვანეს მოსწავლეთა შეჯიბრებაზე, სადაც ყველა მეტოქეს აჯობა, თან ერთი-ორი ისეთი გდება გამოუვიდა, დამსწრეთა ყურადღება მიიქცა. ზვიადაურის მეზობელი და მეგობარი, ასევე ძიუდოსტი ზურაბ ჯიმშიტაშვილი არაერთ ისეთ შემთხვევას იხსენებს, როცა ზურას საოცარი უინი გამოუვლენია, ბოლომდე მედგრად უბრძოლია და თითქოს უიმედოდ წაგებული შეხვედრა სათავისოდ მოუტრიალებია: „ჩვენ ერთად ვვარჯიშობდით, ერთად მივდიოდით და მოვდიოდით ვარჯიშიდან. სულ რაღაც ავიწყდებოდა და სახლში მიბრუნდებოდა ხოლმე. ტალანტი იყო და ეს ეტყობოდა. მაგისი საქმე იყო ჭიდაობა. მწვრთნელი წუთითაც რომ გავიდოდა დარბაზიდან, მისი დავალების შესრულების ნაცვლად, მაგალითად — ბაგირზე ცოცვა, აჭიმვა ან სხვა ამდაგვარი — უმაღლ ჭიდაობას იწყებდა. მისთვის მთავარი იყო ჭიდაობის პროცესი. საოცარი ინტუიცია აქვს, თანაც უშიშარია, ასაკით დიდებს და წონით მძიმეებს არ ეპუებოდა. ერთხელ შეჯიბრებაზე ვიყავით და ვისაც წონა უნდა დაგვეკლო, სასტუმროში ერთ წომერში გაგვანანილეს. გვიან ღამე რაღაც ხმამ გამომაღვიძა. ავდექი, სინათლე ავანთე და რას ვხედავ — ზის ეს ჩვენი ზურა და თოხლაობს. ვეღარ მოითმინა, სულ არ ენაღვლებოდა წონა. ერჩია, მძიმე წონაში ეჭიდავა, ვიდრე ეშიმშილა და წონა დაეკლო.“

ძველი და საინტერესო ამბების თხრობას რომ მორჩა, ზურაბ შინჯიკაშვილმა ზვიადაურის სხვა მეგობრებიც გამაცნო. ყველანი აქ არიან — მთელი ახმეტა და კახეთი აქ არის. და, რა თქმა უნდა — ხევსურეთი. ზურაბ ზვიადაური ახმეტაში დაიპადა, მაგრამ ზვიადაურები წარმოშობით პირიქითა ხევსურეთის უკიდურესი სოფლიდან, არდოტიდან არიან. არდოტი ანდაქის წყლის მარცხენა მხარეს მდებარეობს, იქ, სადაც ბისოს ხევი არაგვს უერთდება. ახლა იქ რამდენიმე ათეული ოჯახი სახლობს, ძირითადად — ზვიადაურები: „არდოტში პაპაჩემი ცხოვრობდა. მერე იქიდან წამოვიდა და ახმეტაში დასახლდა. არდოტი არის ულამაზესი ადგილი, იქ მყავს ბიძაშვილები. როდესაც მეძლევა ამის საშუალება, ავდივარ ხოლმე. ძალიან მიყვარს ხევსურეთში ყოფნა. მინდა სოფლის ძველი ეკლესია აღვადგინო და, უფლის ნებით, ალბათ, შევძლებ ამის გაკეთებას.“

* * *

ზურას მამა, მამუკა ზვიადაური თიანეთშია დაპადებული. ახლახანს სამოცდახუთი წლისა გამხდარა, მთელი ცხოვრება შრომაში აქვს გატარებული, ბოლო ორმოცუ წელინადი სატყეო მეურნეობაში იმუშავა: „სულ ტყე-ტყე დავდიოდ და გასული ვიყავი სახლიდან. გვიჭირდა, ოჯახში მარტო მე ვმუშაობდი. ექვსნი ვიყავით სახლში — მე და ჩემს მეუღლეს ოთხი შვილი გვყავს, გოგო და სამი ბიჭი. ქალაქელებს არდოტი არსოტში ეშლებათ-ხოლმე. არსოტი სხვა სოფელია. ზვიადაურები პირიქითა ხევსურეთიდან მოვდივართ. დედაც და მამაც მყავდა ზვიადაური, სხვადასხვა განშტოებისა... მე თვითონ თიანეთში დავიბადე. ბიჭიობაში ცხენოსნობით ვიყავი გატაცებული, ჭიდაობა არ გამომიცდია. აი, დედაჩემის ძმა, ბეკური, ძლიერი მოჭიდავე იყო, ამ არემარეში კარგად ცნობილი და აღიარებული. ზურასთვის აროდის არ მითქვია, თავი მოიკალი და, გინდა თუ არა, მთელ ქვეყანაზე ყველაზე უკეთესი შენ იყავი-მეთქი. შვილო, იშრომე და ყველაფერი იქნება — ეს იყო მთელი ჩემი სათქმელი... ადრე უბედურება შეგვემთხვა — ჩემი ძმიშვილი მოკლეს, ავთო, 15 წლისა. მთაში იყვნენ, მაღლა, იალაღებზე, საქონელი ჰყავდათ აყვანილი. 17 წლის ბიჭმა მოკლა თოფით. იმის შემდეგ დაგვებადა ეს სახელი. მე დავარქვი




ზურაბ ზვიადაურის
შშობლები — მამუკა და
დარიქო ზვიადაურები

იმის მოსაგონებლად ავთო, ისე საბუთებით არის ზურა. ძმების კიმონოს ხმა-რობდა. პირველად მისი ჭიდაობა ვნახე აქ, ჩიკვილაძის ტურნირზე. გაიმარჯვა. მაშინ მითხრა გუგულიმ, შენ არ იცი, რა შვილს ზრდიო — მსოფლიო ჩემპიონი იქნებაო. რა ვიცი, რა ნახა ამ ბავშვში ამისთანა. მე ამ საქმისა არაფერი გამეგებოდა. თბილისში რომ წავიყვანეთ, მერე დამოუკიდებელად ცხოვრობდა. იმასაც გეტყვით, რომ დედაჩემი და ჯარჯის პაპა, ზვიადაურისა, ალალი და-ძმანი იყვნენ. აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ჯარჯიც და ზურაც ოლიმპიური ჩემპიონები გახდებოდნენ, თანაც — დღემიყოლებით, ერთ დარბაზში.“


ვიფიქრე, აქა ვარ, ახმეტაში და, ბარემ, ჯარჯი ზვიადაურის მამასაც გავესაუბრები — შვილის გამარჯვებას მივულოცავ და საბერძნებელში მისი გადასვლის ამბებსაც გამოვკითხავ-მეთქი. მომიბოდიშა, არ მიწყინო, ამ თემაზე ახლა ვერაფერს ვერ გეტყვიო. მართალი გითხრათ, ამგვარი პასუხი არ გამეკირებია. ოლიმპიადა ახალი დამთავრებული იყო და ჯარჯი ზვიადაურის ახლობლები, გასაგები მიზეზების გამო, დუმილს ამჯობინებდნენ. ეგ კი არა, ათენში, პრესკონფერენციაზე, როცა ზურაბ ზვიადაურს ჰკითხეს, რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა გუშინ ამ დარბაზში თქვენმა ბიძაშვილმა საბერძნების სახელით ოქროს მედალი მოიპოვაო, ზურამ ასე უპასუხა: არა, კაცო, ეგ ჩემი ბიძაშვილი არ არის, ადრე საქართველოში ერთ ჩემს ნათესავთან ცხოვრობდა და იქიდან ვიცნობო.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო გულწრფელი პასუხი. ზურაბმა შეგნებულად დამალა სიმართლე და ეს ერთადერთი მიზნით გააკეთა — ჯარჯის თავის



ზურაბ ზეგადეური:

„ძიუდის პარალელურად,
ხშირად გამოვდიოდი
ქართული ჭიდაობის
ტურნირებზე, ქართულ
საჭიდაო მუსიკას რომ
გაფიცებდი, ერთ ადგილზე
ვერ ვწერდებოდი.
გარდა მედლებისა
და თასებისა, სხვა
საინტერესებრივიც
მიმიღია. მაგალითად,
მეტების ტურნირში
გამარჯვებისთვის პრიზად
მოზეჟრი მივიღე.



შატილშვილი

მწვრთნელთან და ბერძნებთან პრობლემები რომ არ შექმნოდა. აი, რაში იყო საქმე: საქართველოში დაბადებულმა ქართველმა ბერძნებმა ნიკოლაოს ილიადისმა, იგივე ნიკო გარაქლოვმა, რომელიც 1993 წლიდან საბერძნეთში ცხოვრობს, როცა ძიუდოისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს, რამდენიმე ქართველი ძიუდოისტი გადაიბირა, მათ შორის — ჯარჯი ზვიადაური. მწვრთნელის ფანტაზიით შეთხზული ლეგენდის თანახმად, ნიკოლაოს ილიადისმა, ჯერ კიდევ 1993 წელს, საბერძნეთში გამგზავრების წინ, თავისი „შვილი“ — ილიასი გასაზრდელად ბებიას დაუტოვა და როცა საამისო პირობები შეექმნა, თავისთან უხმო. ჯარჯი მართლაც კარგ პირობებში მოხვდა, ოლიმპიადის წინ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ცოტა ხანში კი ძიუ-



რამაზ ნოზაძე და
ზურაბ ზეიადაური



ზურაბ ზეიადაური და
მისი პირველი მწერთნელი
გუგული აბრამიშვილი



ზურაბ ზეიადაური ახ-
მეტაში დაიბადა, მაგრამ
ზეიადაურება წარმოშო-
ბით პირქითა ხევსურე-
თის უკიდურესი სოფლი-
დან, არდომტებან არიან:
„არდომტი არის ულამაზესი
ადგილი, იქ მყავს ბიძაშვი-
ლები. როდესაც მეძლევა
ამის საშუალება, ავდოგარ
ხოლმე. ძალიან მიყვარს
ხევსურეთში ყოფნა. მინდა
სოფლის ძეველი ექლესია
აღვადგინონ და, უფლის ნე-
ბით, ალბათ, შევძლებ ამის
გაეთებას.“

დოს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიურ ჩემპიონად მოგვევლინა. აქამდე ბერძნებს ჩემპიონი კი არა, ათეულშიც არავინ ჰყოლიათ და ჭაბუკა ვარსკვლავის გამოჩენა ღვთის წყალობად მიიღეს. არადა, საქართველოს წყალობა კი იყო. ეს ამბავი პირველივე პრესკონფერენციაზე გახმაურდა, როცა ჯერ კიდევ ოფლეუმშრალი ჩემპიონი ბერძნულ ენაზე დასმულ კითხვებს მამაპაპისეული ქართულით პასუხობდა. მოკლედ, ძირძველ ბერძნად წარდგენილი ილიას ილიადისი სინამდვილეში ერთი ქართველი მთიული ბიჭი აღმოჩნდა. ერთ-ერთი გავლენიანი ბერძნული გაზეთი „TO BHMA“ 2004 წლის 19 აგვისტოს ნომერში წერდა: „დეტალურად გამოვიკვლიერ და დავადგინეთ, რომ ჩვენი ჩემპიონის ნამდვილი გვარია ზვიადაური და არა ილიადისი. მისი ბიძაშვილიც ფავორიტი იყო და 24 საათში მეორე ოქროს მედალი აიღო ზვიადაურების ოჯახისათვის. ილიასი უკვე მოწიფულ ასაკში იშვილა ნიკოლაოს ილიადისმა, რათა სპორტული კარიერა საპერძეოთში გაეგრძელებინა. როცა ვითომ მამა ჯარჯი ზვიადაურს გამარჯვებას ულოცავდა, ამ დროს მისი ნამდვილი მამა ტრიბუნაზე, სადღაც კუთხეში იჯდა და სიხარულისგან ტიროდა.“ გაზეთის აზრით, საპერძეოთის ძიუდოს ფედერაციამ შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება, როცა მომავალი ჩემპიონის ნამდვილი გვარ-სახელი დაუმატა და სხვა ბიოგრაფიული ინფორმაციაც დაამახინჯა: „რა საჭირო იყო ამდენი ტყუილი, რაში დასჭირდათ მწვრთნელებს და ჩინოვნიკებს იმისი მტკიცება, რომ ვითომ ილიას ილიადისი 1993 წლიდან ბებიასთან იზრდებოდა, საპერძეოთში კი 2000 წელს ჩამოვიდა, როცა „მამამისი“ ნაკრების მწვრთნელი გახდა.“

მოგვიანებით, საქართველოში დაბრუნებულმა ზურაბ ზვიადაურმა ასეთი რამ თქვა: „ჯარჯის აკრძალული ჰქონდა იმაზე ღიად საუბარი, სად დაიწყო მისი სპორტული კარიერა და როგორ აღმოჩნდა საპერძეოთის ნაკრებში. ამ თემაზე კომენტარს მხოლოდ მისი მწვრთნელი ნიკოლაოს ილიადისი იძლეოდა. თუ ამ პირობას დაარღვევდა, ჩემპიონობის შემთხვევაში, საპერძეოთის მთავრობისგან შეპირებულ 270 ათას ევროს ვერ მიიღებდა. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ოლიმპიადაზე სასწაული მოხდებოდა და ორივე ზვიადაური ჩემპიონები გავხდებოდით. იმ დღეს მსოფლიომ გაიგო, რომ ილიას ილიადისი ბერძნი კი არა ქართველი ჯარჯი ზვიადაურია.“



* * *

ჯარჯვი ზევიადაურის სპორტული კარიერა უაღრესად წარმატებული გამოდგა: ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ორ-ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის ორგზის ვერცხლის პრიზიორი. გარდა პირველი ევროპული მედლისა, ყველა სხვა მედალი ჯარჯვიმ ათენის ოლიმპიადის შემდეგ მოიგო. ზურაბ ზევიადაურის შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქითაა — ათენური ტრიუმფის შემდეგ მის მონაგარს ბევრი არაფერი შემატებია. ამ თემაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ, ახლა კი კვლავ ძველ ამბებს მივუბრუნდეთ.

გუგული აბრამიშვილი: „მეათე კლასი რომ დაამთავრა და მეთერთმეტეში გადავიდა, 1996 წლის შემოდგომა იყო, ნოემბერი, თბილისში, სპორტის სასახლეში ტარდებოდა საქართველოს ჩემპიონატი. მაშინ შეიცვალა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი და შოთა ხაბარელი მოვიდა. ზურამ მთხოვა, გუგული მასნავლებელო, თბილისში წამიყვანე და დიდებში მაჭიდავეო. უფროსებთან წელგამართული ჭიდაობდა, მაგრამ თავიდან მაინც უარზე ვიყავი — ბიჭმა რაიმე არ დაიზიანოს და არ გაფუჭდეს-მეთქი. ბოლოს მაინც წავიყვანე და ვაჭიდავე. ამ ჩემპიონატზე ერთადერთი შეხვედრა წააგო, ისიც — მომავალ ჩემპიონთან. დანარჩენი ყველა მოიგო და 16 წლის ბიჭი დიდებში მესამეზე გავიდა. მწვრთნელებმა ოქვეს, თემურ ხუბულურის მიხვრა-მოხვრა აქვსო. ძალიან გამიხარდა, ასეთ დიდ მოჭიდავეს რომ შეადარეს. მოვიდა ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი და მითხრა: გუგულა, ეს ბავშვი უნდა დატოვო აქაო. მე გამეცინა, როგორ დავტოვო, ჯერ სკოლის მოსწავლეა, აქ ხომ არ ივლის, დაამთავრებს და აბა, სად წავიყვან, აქ ჩამოვიყვანთ-მეთქი. მომდევნო წელს, 1997-ში, საერთაშორისო ტურნირი იყო ზაფხულში და ის ტურნირი რომ დამთავრდა, ჩავაბარე ფედერაციას.

1998 წელს ჭაბუკითა მსოფლიო პირველობაზე, მოსკოვში, მეორე ადგილი დაიკავა. მაშინ ამირან ტოტიკაშვილი იყო ჩემთან ერთად მისი მწვრთნელი, ის ხელმძღვანელობდა ჭაბუკითა ნაკრებს. 2000 წლიდან ჩაიბარა ხაბარელმა და მას შემდეგ შოთასთან ვარჯიშობდა... წელი აქვს ძალიან ძლიერი, ფიზიკურად ძლიერია. მოქნილია. ჩემთან რაც იყო, სკოლის პერიოდში, პრობლემები არ ჰქონია. ხანდახან თავის ტკივილი თუ შეაწუხებდა. ერთხელ ბაკურიანში



მსოფლიოს ჩემპიონატის
ფინალი: ზეიადაური —
ფრედერიკ დემონფონი.
შეხვედრა ზურნს მიჰყავ-
და, შეა ბრძოლაში იუკო
აილო, მაგრამ მალე მეტო-
ქებ ჩოქჩენში მტკვრნე-
ულზე დაჭირა. 20 წლის
დებიუტანტისთვის
მსოფლიო ჩემპიონატის
გერცხლის მედალი, რა
თქმა უნდა, უდიდესი
წარმატება იყო.
მიუნხენი, 2001 წელი.

ვიყავით შეკრებაზე. კოტტაგორას ფერდობზე კროსი გვეკონდა. გაჩერდა, მე-
ტი არ შემიძლიაო. მე უკან მივყვებოდი, ნინ ტოტიკაშვილი იყო. ამირან, ეს
ბავშვი ავად არის-მეტე. მივაპრუნეთ სასტუმროში. წნევა ჰქონდა ასსამოცი
ასზე. მოგვიანებით ახმეტაში ექიმს ვაჩვენე. მითხრა, სასწრაფოდ გლანდები
უნდა ამოიჭრას, თორემ საქმე გართულდებაო. იმავე დღეს გავუკეთეთ ოპე-
რაცია. ამის შემდეგ ყველაფერი დარეგულირდა.“


ამირან ტოტიკაშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი): „პირველად შევხვდი
სპორტის სასახლეში, დიდების ჩემპიონატზე. ძალიან ლამაზი ჭიდაობა აჩ-
ვენა და მესამე ადგილი დაიკავა. ერთ პერიოდში პატარა ჩავარდნა ჰქონდა.
მერე ჭაბუკთა ნაკრებში მივიწვიე. მოსკოვში წაგიყვანეთ ჭაბუკთა მსოფლიო
პირველობაზე, სადაც მეორე ადგილი დაიკავა. მას შემდეგ წამოვიდა და წა-
მოვიდა. ზურა არის ბუნებრივად ძალიან ტექნიკური. როგორც მთიელთა




მსოფლიოს ჩემპიონატის
კვარცხელბეგი (90 კგ):
ზურაბ ზვიადაური,
ფრედერიკ დემინფოკონი
(საფრანგეთი),
რასულ სალიმოვი
(აზერბაიჯანი),
ონბ დონგ-სიკი (კორეა).
მოუნბენი, 2001 წელი

უმეტესობა, შეუპოვარია და ჯიუტი. ბრძანებით ვერაფერს გააქეთებინებ, დაყვავებით კი ორჯერ მეტს იზამს. ასე ვუდგებოდით ერთმანეთს. სამი-ოთხი წელი ერთად ვიყავით. სპორტიდან რომ წავედი, მერეც არ გამიწყვეტია კავშირი.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს თემურ ხუბულურსაც პირველად სპორტის სასახლეში, საქართველოს ჩემპიონატზე უნახავს ზვიადაურის ჭიდაობა: „მაქსოვს, ვიღაც ჯმუხი, შავი ბიჭი გამოვიდა და ზედიზედ რამდენიმე ძლიერი მეტოქე დაანარცხა. ძალიან მომენტია. წამოკიდებებს, კისრულს, მოგვერდს ისე აკეთებდა, რომ არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიგექცია. მერე სულ ვაკვირდებოდი. ჩემს ჭიდაობას რომ ვიხსენებ, ბევრი საერთო გვაქს. ფეხიდანაც აჰყავს და ბრუნსაც აკეთებს კარგად. მე ბრუნი არ გამომდიოდა. მოკლედ, ჩემზე დახვეწილად ჭიდაობს. დაქნეულ კისრულს აკე-



2003 წლის მსოფლიოს
ჩემპიონატის ფინალის:
ზეიადბური — პი-ტაე
ჰვანგი (კორეა).
საბედისწერო მომენტამ-
დე ზეიადბური სრულ
უპირატესობას ფლობდა,
ჯერ ვაზარი, მერე კი კოკა
დაიმსახურა, მაგრამ მო-
რიგი შეტევის დროს წამი-
ერად მოდუნდა და
შებოჭვაში მოყვა



2003 წლის მსოფლიოს
ჩემპიონატის პრიზიორები
(90 კგ): ზურაბ ზვადაური,
პი-ტავ პვანგი (ქორევა),
სარეი კუხარენკა
(ბელორუსია),
კარლოს პონარტო
(პრაზილია)

თებს კარგად... ოლიმპიადის დროს რუსეთში ვიყავი და ბოლო ორი შეხვედრა ვნახე მხოლოდ. ორივე მაგრად იჭიდავა. ულამაზესი ჭიდაობა აჩვენა. მე ძალიან მიხარია, რომ ჩვენი საქმის ასეთი ღირსეული გამგრძელებელი გამოიჩინდა.“

თემურ ხუბულური და სხვა სახელოვანი ქართველი ფალავნები, 1980 წლიდან მოყოლებული, დიდი შეჯიბრებებისთვის თბილისში, ვაკის ახალაშენებულ ძიებოს სპორტულ კომპლექსში ემზადებოდნენ. ამ კომპლექსის მეორე სართულზე განთავსებულ სასტუმროს 30-მდე სპორტსმენის მიღება შეეძლო. ეს სასტუმრო ერთგვარ თავშესაფრად იქცა საქართველოს ნაკრებში მონვეული იმ ძიუდოისტებისთვის, ვისაც თბილისში სხვა საცხოვრებელი არ ჰქონდა. 17 წლის ზურაბ ზვიადაურიც აქ დააბინავეს. თანაგუნდელები ეხუმრებოდნენ: ბედიც ამას ჰქვია, კაცი ახმეტიდან დილით წამოვიდა, საღამოს კი უკვე ვაკელი გახდა.

ზურაბ ზვიადაური: „ორი წელი ვცხოვრობდი ამ დარბაზში. სხვა გზა არ იყო. ოჯახი ვერ მეხმარებოდა, რადგანაც არანაირი სახსარი და საშუალება

არ გააჩნდა. სანათესაოშიც არავინ არ გვყავდა ისეთი, გვერდში დადგომას რომ შეძლებდა. ზოგჯერ საჭმლის ფულიც არ მქონდა, პური რომ მეყიდა. სიმძრით მიფიქრია, რაში მადგია ეს სპორტი, სხვა საქმეს ვენევი, თავს მივ-ხედავ, ლუკმა-პურს მაინც ხომ ვიშოვი-მეთქ. ასეთი პერიოდი მართლა იყო. პატარა ხელფასი, 50-60 ლარი კი მქონდა, მაგრამ ხუთ-ექვს თვეში ერთხელ მაძლევდნენ. ფულს რომ ავიღებდი, დაბადების დღესავით იყო. ვიცოდი, რომ რამდენიმე დღე საჭმელი მექნებოდა. წუნუნის კაცი არა ვარ. სხვას ჩემს პრობლემებს არ ვახვევდი. თუ ვინმე მკითხავდა, ვპასუხობდი, რომ არაფერი არ მიჰირს, ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ვინც ჩემს გარშემო იყო და ხედავდა ყველაფერს, რითაც შეძლო, მეხმარებოდა, რომ მე არ მიმეტოვებინა სპორტი და მექეთებინა ჩემი საქმე. როგორდაც შოთა ხაბარელის ყურამდე მივიღდა ეს ამბავი. ერთხელ დამადგა თავზე და ხედავს, რომ საჭმელი არაფერი მაქვს. წამავლო ხელი, წამიყვანა და თავის რესტორანში დამინიშნა სამჯერადი კვება. მრცხვენოდა, ფეხს ვითრევდი, მაგრამ ისევ მიყენდი. 2000 წლიდან დაიწყო სერიოზული შეჯიბრებები და სერიოზული წარმატება. მერე ცოტა ამოვისუნთქე. ერთ რამეს მივხვდი – თუ გულით გინდა და მოინდომებ, აუცილებლად მიაღწევ შედეგს.“

2000 წელს, 19 წლის ასაკში, ზურაბ ზვიადაურმა ჯერ ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, მერე კი ტუნისში გამართული მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი შეჯიბრებები უკვე 2001 წელს ელოდა — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები. ევროპული მედლები პარიზში გათამაშდა.

ზურაბ ზვიადეური: „პირველივე შეხვედრა წავაგე, ჰოლანდიელ მარკ ჰუზინგასთან, ოლიმპიურ ჩემპიონთან. ძალიან დიდი ანგარიშით წავაგე. ბე-დი არ გინდა? სტარტზევე უძლიერესი მეტოქე შემხვდა, ჩემს წონაში ყველა-ზე ტიტულიანი. არადა, ჩემთვის სადებიუტო ჩემპიონატი იყო. მონღლობება არ მაკლდა, მაგრამ რაღაც გამოცდილებაც ხომ გინდა... დავურეკე ჩემს ძმას, სპარტაკს და ეს ამბავი შევატყობინე. იქიდან წამოვიდა გინება. ალბათ, არ ივარჯიშე, იცულლულებდით. მაშინ ვთქვი ჩემთვის, რომ საანაშ დიდ შედეგს არ გავაკეთებ, მე ჩემს ძმას ტელეფონზე არ დაველაპარაკები-მეთქი. ფიცი-ვით დავდე. მართლაც არ დამირეკავს, არც მიპასუხია მისი ზარისთვის სამი



თუ ოთხი თვის განმავლობაში. მერე იყო მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატი. კარგად წამივიდა საქმე. ნახევარფინალში ვარ. ავიღე ყურმილი და ძმას და-ვურეკე. მყითხა, სად ხარ, საიდან რეკავო. არც იცოდა, რომ მე მსოფლიოზე გავდიოდი. ბოლო მომენტში გადაწყდა ჩემი ამბავი. კონკურენცია იყო ძალი-ან დიდი. მე ვუთხარი, გერმანიაში ვარ-მეთქი. მსოფლიოზე ხარო, რა ქენიო, წააგეო. არა, არ წამივია, ფინალში ვარ-მეთქი. ნახევარფინალში ტუნისელს ვხვდებოდი და ასი პროცენტით დარწმუნებული ვიყავი, რომ ფინალში გავი-დოდი. ისე გაეხარდა, რომ იქიდან უცნაური ხმები შემომესმა, მე მგონი, სიხა-რულისგან ყურმილი მოისროლა, გაითიშა.“

მაგრამ ძიუდოში ზოგჯერ „ასპროცენტიანი რწმენაც“ შეიძლება კით-ხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ის ტუნისელი ბიჭი, სკანდერ ჰაჩიჩა, კერკეტი კა-კალი გამოდგა, ჩვენს ფალავანს მედგრად დაუხვდა და საქმე ჰანტეიმდე მი-იყვანა. არადა, 15 წუთით ადრე, ზვიადაურმა იაპონელ მეტოქეს ისეთი კის-რული ჩაუტარა, თქვენი მოწონებული. ამ ამბავს მიუნხენის „შპორტჰალეს“ (სხვათა შორის, 1972 წელს შოთა ჩოჩიშვილი სწორედ ამ დარბაზში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი) პრეს-ლოკიდან ადევნებდა თვალს გაზიეთ „დრონის“ რედაქტორი გიორგი ჩოჩიშვილი: „ზურაბ ზვიადაური და მასატოში ტობი-შუკა მეორე წრეში შეხვდნენ ერთმანეთს. ბრძოლა ახალი დაწყებული იყო, როცა ზვიადაურმა ისეთი წრე შემოახაზვინა იაპონელს, მაყურებლები აღაფ-რთოვანა. ეს ილეთი ვაზარით შეფასდა. ცოტა ხანში დარბაზში ისევ გაისმა აღტაცებული გულშემატკიცრების შეძახილები. ზვიადაურის მეორე კისრუ-ლი უფრო ეფექტური გამოდგა, მსაჯებმა ეს გდება ამჯერად იპონით შეაფა-სეს და ბრძოლაც შეწყდა. მერე იყო ნახევარფინალი, სადაც ჩვენს ძიუდო-ისტს ტუნისელი სკანდერ ჰაჩიჩა დაუპირისპირდა. ტუნისელი მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე მოეგერიებინა მეტოქის იერმები და იმდენი მოახერ-ხა, რომ მხოლოდ ერთი კოკა დათმო. მერე კი, საფინალო სასტკენამდე წამით ადრე, ზვიადაური გააფრთხილეს და ანგარიშიც გათანაბრდა. საბოლოოდ, სამივე მსაჯმა გამარჯვება ზურაბს მიანიჭა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ, სულ მცირე, ვერცხლის მედალი ჯიბეში ედო. მეორე ჯგუფიდან ფინალში გავიდა 28 წლის ფრანგი ფრედერიკ დემონფონი, ძალიან გამოცდილი სპორტსმე-ნი — სიდწეის ოლიმპიადის და ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს



2004 წლის 12 აგვისტო,
ათენის ოლიმპიური
სტადიონი. საქართველოს
დელეგაციას ხუთვერიანი
დროშთ ხელში წინ
მიუძღვის ზურაბ
ზეიადაური





პრიზიორი. შეხვედრა ზურას მიჰყავდა, შუა ბრძოლაში იუკო აიღო, მაგრამ მალე მეტოქემ ჩოქბჯენში მტკიცნეულზე დაიჭირა. 20 წლის დებიუტანტისთვის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, რა თქმა უნდა, უდიდესი წარმატება იყო.“

ორი წლის შემდეგ, ამჯერად იაპონურ ოსაკაში, მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატზე, დაახლოებით იგივე განმეორდა: ზურაბ ზვიადაურმა ფინალში ყველა შეხვედრა მოიგო, ფინალში კი კორეელ პი-ტაე ჰვანგთან კვლავ ჩოქბჯენში დამარცხდა, ოლონდ – შებოჭვით. ამ შეხვედრაში ზვიადაური უპირობო ფავორიტი იყო — წინა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტს და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორს მეტოქედ ჰყავდა სპორტსმენი, რომელმაც ექვსწლიან კარიერაში მხოლოდ ის მოახერხა, რომ ერთხელ უნივერსიადაზე მესამე ადგილი დაიკავა. საბედისწერო მომენტამდე ზვიადაური სრულ უპირატესობას ფლობდა, ჯერ ვაზარი, მერე კი კოკა დაიმსახურა, მაგრამ მორიგი შეტევის დროს წამიერად მოდუნდა და შებოჭვაში მოყვა: „წაგება არავის არ უყვარს, მაგრამ ის შეხვედრა ძალიან მნარედ მახსოვეს. თავიდან ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც მწვრთნელთან ერთად ჩაფიქრებული გვქონდა — სულ შეტევაში ვიყავი, კორეელი მუდმივ პრესინგში მყავდა და ვგრძნობდი, რომ მოგება ჩემს ხელში იყო. ერთ მომენტში ფეხიდან ავქაჩე და პარტერში გადავიყვანე, მაგრამ ხელი ჩამითრია, ქვემოდან მოვყევი და... ყველაფერი დამთავრდა.“

* * *

ზურაბ ზვიადაური ტიპიური ქართველი მოჭიდავეა. დგომში უმეტესი ილეთს უნაკლოდ ასრულებს, მაგრამ როცა ბრძოლა ჩოქბჯენში გადადის, იქ უკვე პრობლემები იწყება. ზვიადაურის სტიქია შეტევაა — ფანდების კასკადი, კომბინაციური სტილი, ტაქტიკური გონიერება. აქ მას ბადალი არა ჰყავს. ზვიადაური აზარტული, ლამაზი ჭიდაობის მიმდევარია და რაკი ასეა, მსხვერპლის გაღებაც უწევს. მსოფლიო ჩემპიონატის ორი ფინალი მისთვის მნარე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი გაკვეთილი გამოდგა. ფიზიკურად ძლიერი, ტექნიკური, ტატამზე აზროვნების უნარის მქონე — შოთა



ათენის ოლიმპიური
თამაშები.
პირველი წრე. ზეიაძეური
— ლეპჩე (ოტალია).
46-ე წამი. ბრძოლა ჯერ
არ გახურებულა და ყვე-
ლაფერი დამთვრდა.
ზეზელა კისრული და
იპონი. ბრნეინგალე
სტარტი. მაყურებელი
ტაშით აჯილდოებს ქარ-
თველ ფალავანს.



მეორე წრე, ზვალდაური —
ტაოვა (რუსეთი).
დაძაბული პრძოლა.
მესამე წუთზე ტაოებს
აფრთხოლებენ, მეოთხე
წუთზე — ზვალდაურს.
ამას მოსდევს ორმხრივი
აქტიურობა. ზვალდაური
შეტყვას ტატამის ერთ
კუთხეში იწყებს,
ბოლომდე ანგება და
მოპირდაპირე მხარეს
ამთავრებს. ისევ იძონი,
საფინალო სასტკენამდე
46 ნამით ადრე.

მესამე წრე. ზვიადაური — დემონბოკონი (საფრანგეთი). გაიხსენეთ 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. მაშინ ფრანგმა მტკიცნეულით მოიგო. ახლაც იგივეს ცდილობს, მაგრამ არაფრი გამოსდის. ზვიადაურის მოგვერდი და ბრუნიც დაბლოკლია. აფრთხოებენ ფრანგს, საფინალო სასტეკნიაზე 4 წამით ადრე-დამატებით დრო, გასულია წუთი და 11 წამი. ბრძოლა ჩოქბჯენში გადადის, ზვიადაურის იღეთს ოუკოთი იტასებენ. ეს უკვე გამარჯვებაა.




საბარელი ამბობს, რომ ამ თვისებების ერთობლიობამ განაპირობა ზვიადაურის შედეგები სპორტში: „ფიზიკური ძალა თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ რა არის შიშველი ძალა, თუ მას არ ახლავს ტექნიკა. ხოლო ძალას და ტექნიკურ მომზადებას დიდი შედეგი მაშინ მოაქვს, როცა სპორტშინა შეუძლა აზროვნება, ანუ ტაქტიკური ამოცანის რეალიზაცია, სიტუაციის შესაბამისი გადაწყვეტილების უცებ მიღება. ასეთები ცოტანი არიან და ერთ-ერთი მათგანია ზურაბ ზვიადაური. ისე, მძიმე ხასიათის კაცია, ბევრჯერ გვიჩეუბია და გვიკამათია — ყველა დიდ სპორტსმენს თავისებური ხასიათი აქვს — ვარჯიშზე მაინცდამაინც არ იკლავდა თავს, მაგრამ ნელ-ნელა მოვათვინიერე და დავიახლოვე. სულ ყურადღების ქვეშ უნდა ყოფილიყო და ამას არ ვაკლებდით.“



შოთა ხაბარელი:
„ზურაბ ჩიქებვეჯნში არ ჭიდაობდა ძლიერად, მაგრამ დაცვა შედირებით კარგი პქონდა. ბოლო წამტბზე ერთ შესვლასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მოძრაობასაც ერთ ფრანგთან შეხვედრისას ეუყვირე, რას აკეთებ, მაგით მთავრდება ყველასურა-მეტე. მერძე მითხრა, თითქოს დაბინდული გონება გამონათდა.“

ზურაბ ზვიადაური საქართველოს ნაკრების სრულუფლებიანი წევრი 2000 წელს გახდა. 90 კგ კატეგორიაში კიდევ რამდენიმე ძლიერი მოჭიდავე გვყავდა, მაგრამ შოთა ხაბარელი ყველაზე მეტად ზვიადაურს ენდობოდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ტურნირებში გამოსცადა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ტოლს არ უდებდა მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდავეებს. 2002 და 2003 წლებში საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მოიგო ევროპის გუნდური ჩემპიონატი. ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო ზურაბ ზვიადაური.

ათენის ოლიმპიადის წინ ცუდი ამბები მოხდა: ზვიადაურმა ჯერ მუხლის სახსრის ტრავმა მიიღო, მერე ფეხში დაჭრეს — სანვრთნელ შეკრებაზე მყოფ ნაკრების წევრებს შორის დაწყებული კამათი ჩხუბში გადაიზარდა და ასეთი



შოთა ხაბარელი:

„დემონფოქონთან
შეხვედრის დამატებით
დროში ზვიადაურის გა-
დამწყვეტი იღეთი იყო
„მელნიცა, „ჩვენებურად
— ნისქვილი. ყოვნი და
გდება დინამიკაში. ეს იყო
იუკო და მისცეს კიდევაც.“







მძიმე შედეგით დასრულდა. არადა, ოლიმპიურ თამაშებამდე რამდენიმე თვე რჩებოდა, თითოეულ დღეს, ყოველ გამოტოვებულ ვარჯიშს მნიშვნელობა ჰქონდა. საოლიმპიადო გეგმები თავდაყირა დადგა, სპორტული დარბაზის ნაცვლად, ზვიადაურს ექიმებთან უწევდა სიარული.

ზურაბ კახაბრიშვილი (ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი): „ზურამ თითქმის სამი თვე გაატარა საავადმყოფოში. შოთა ძალიან ნერვიულობდა. ფეხის ჭრილობა, დაზიანებული მუხლის სახსარი. მერე ბაკურიანის შეკრებაზე წითელი ქარი განუვითარდა. ორ დღეში კი გაუარა, მაგრამ ის შეკრება მაინც ჩაუვარდა. ფაქტიურად, მან ბოლო ერთი თვე ივარჯიშა. ძალიან მონდომებული კი იყო. როცა კროსებს დარბოდნენ, დაბალი წონის ბიჭებს ასწრებდა. მე გაოცებული ვიყავი და ვატყობდი, რომ შედიოდა ფორმაში.“

დავით ქეხიშვილი (საქართველოს ნაკრების წევრი): „მთელი შეკრება ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ერთად ვვარჯიშობდით და ერთად ვისვენებდით. დრო ბევრი ვექონდა და ათას რამეზე გვისაუბრია, ლექსიც ბევრი გვითქვამს. ზურას ძალიან უყვარს პოეზია, არაერთი ლექსი ზეპირად იცის, განსაკუთრებული ემოციით კითხულობს ხალხურ პოეზიას. ხშირად იმეორებდა, ეს ოლიმპიადა უნდა მოვიგო, ვინ იცის, მეორე შანსი როდის მექნება. ბოლო შეკრება სანამ დაიწყებოდა, შეკრებებს შორის სამი დღე იყო შუალედი და მითხრა — აქ დავრჩები, ახმეტაში ნასვლას აზრი არა აქვსო (სპარტაკ ზვიადაური: შეჯიბრების წინ ახმეტაში ჩამოსვლა არ უყვარდა, ცუდად ჰქონდა დაცდილი. ყოველთვის ეგრე იყო. ათენის წინ აქეთ არც გამოუხდავს). მარტოკას ხომ არ დავტოვებდი და მეც დავრჩი, ერთად ვიყავით... მხნედ იყო, შინაგანი რწმენით და იმედით აღსავს. განსაკუთრებით ბოლო ხანი ეკლესიურად ცხოვრობდა — ლოცვები, მღვდელთან აღსარების ჩაბარება.“

ზურაბ ზვიადაური: „ბოლოსნინა საოლიმპიადო შეკრება ბორჯომში გვითხოვდა. თავისუფალ დროს ბორჯომის პატარა ეკლესიაში დავდიოდი, საოცარი სულიერი სიმშვიდე მეუფლებოდა. მოხდა სასწაული და ერთხელაც ეკლესიაში გამოისახა ღვთისმშობელი. ამან განსაკუთრებული შინაგანი რწმენა მომცა. ათენში გამგზავრებამდე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის წევრები ჩვენს პატრიარქს ვერვიეთ. დიდი სითბოთი და სიყვარულით მიგვი-

ნახევარფინალი.

ზვადაური — გორდონი. პრიტბერელი თავს იცავს, იშვიათად უტევს. მსაჯები მეტოქებს ორ-ორჯერ აფრთხოლებენ. ცოტა ხანი იგივე მეორდება. მეორე წუთის მიწურულს გორდონს ისევ აფრთხოლებენ — უკვე მესამედ გარბის ტატამიდან. შეცვედრის დამთავრებაზე წუთი და 5 წამი რჩება — მეორე გაფრთხილება გორდონს, მეორე გამარჯვება ზვიადაურს. წინ ფინალია.

ღო, დაგვლოცა, გვაჩუქა ხატები, ჯვრები, სანთლები. მაშინ უწმინდესი პირ-ველად ვნახე და ძალიან ბედნიერი ვიყავი. სათითაოდ მოგვეფერა ყველას და წარმატება გვისურვა.“

* * *

ახლა ჩემს ათენურ უბის წიგნაქში ჩავიხედავ და 2004 წლის აგვისტოს ამბებს გავიხსენებ: „ათენში 12 აგვისტოს გავფრინდით, „აირზენას“ სპეციალური რეისით. თბილისის აეროპორტში ბლომად ხალხი მოგროვდა — გულ-შემატკივრები, ვეტერანი სპორტსმენები, ჩვენი ოლიმპიულების ახლობლები, პრესა-ტელევიზია. გაცილების ცერემონია, ცხადია, საკმაოდ ემოციური გა-მოდგა (მამუკა ზვიადაური: ათენში რომ მიფრინავდა, აეროპორტში გავაცი-ლეთ, დედამისიც იქ იყო. ზურა ისე გაერთო მეოპერებთან ლაპარაკით, რომ ჩვენ სულ დავავინაფით. მოვიდა თვითმფრინავში ჩასხდომის დრო. მივედი და მხარზე დავადე ხელი — ბიჭი, არ გვემშვიდობები-მეთქი. მოიხედა, გაე-ლიმა — ნუ გეშინიათ, ყველაფერი რიგ ზე იქნებათ. იყო მხიარულად). თვით-მფრინავში სულ 47 მგზავრი მოგროვდა, მეტწილად სპორტსმენები, მათ შორის ძიუდოისტები, ძალოსნები, მძლეოსნები. ურნალისტები შვიდნი ვი-ყავით. იმავე დღეს, 12 აგვისტოს ათენის ოლიმპიურ სოფელში ოფიციალუ-რად აღიმართა საქართველოს დროშა, ალსუს ქუჩაზე, გლოფალდის მერიის შენობაში კი გაიხსნა „ქართული სახლი“. 13 აგვისტო ოლიმპიადის გახსნის დღეა. ოლიმპიური სოფლიდან ავტობუსებით წაგვიყვანეს სტადიონზე და სანამ ჩვენი რიგი მოვიდოდა, თითქმის სამი საათი გვაყურყუტეს ტანვარჯი-შის დარბაზში. სხვა რა გზაა — საზეიმო ცერემონიის ძირითად მხატვრულ ნაწილს ტელეეკრანზე ვუყურებთ. როგორც იქნა, დადგა ჩვენი რიგი და გავე-დით სტადიონის სარბენ ბილიკზე. ქართულ დელეგაციას ხუთჯვრიანი დრო-შით ხელში წინ მიუძღვის ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური. დაღლილ-დაქან-ცულები ოლიმპიურ სოფელში გვიან ღამით, ორის ნახევარზე დავბრუნდით. ხვალ, ოლიმპიადის პირველი სპორტული დღეა. დილიდანვე ძიუდოზე მივ-დივართ. ანო ლიოსიას ოლიმპიური დარბაზი ათენის გარეუბანში, ქალაქის ცენტრიდან საკმაოდ შორს მდებარეობს, 6 ათას მაყურებელს იტევს. ლამის



მთელი ოლიმპიადა ამ დარბაზში მოგვიწევს სიარული. ძიუდოს შემდეგ აქ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა გაიმართება, ბოლოს კი — თავისუფალი ჭიდაობა. ძიუდოს ნესტორ ხერგიანი იწყებს და ვერცხლის მედლის მფლობელი ხდება. ძალიან კარგი შედეგია. ფინალში ღეგენდარულ ტადაპირო ნომურას-თან მარცხდება, ძიუდოში ერთადერთ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონთან. მომდევნო სამი დღე ისე გადის, რომ ჩვენი ძიუდოსტები — დავით მარგოშვილი, დავით ქევხიშვილი და გრიგოლ მამრიკიშვილი საპრიზო ადგილზე გასვლას ვერ ახერხებენ.“

* * *

17 აგვისტოს მამრიკიშვილთან ერთად ჯარჯი ზვიადაურიც (იგივე — ილიას ილიადისი) ჭიდაობდა და ყველას განსაკუთრებული მოლოდინი გვქონდა. მე და ზურაბ ზვიადაური ავტობუსში გვერდიგვერდ მოვხვდით და საანამ ოლიმპიური სოფლიდან დარბაზამდე მივალევდით, მეტწილად ჯარჯის შესახებ ვსაუბრობდით. მითხრა, გაჭირვებაში გაზრდილი ბიჭია, ჩვენთან, ახმეტაში დაიბადა, მერე კი ოჯახთან ერთად ლილოში გადმოსახლდნენ, ძირითადად თბილისში ვარჯიშობდათ. ჭაბუკობაში არჩევანის წინაშე დამდგარა, უსახსრობის გამო ან თავი უნდა გაენებებინა სპორტისთვის, ან რაიმე გამოსავალი ეპოვნა. არადა, იმ პერიოდში უკვე პერსპექტიულ ძიუდოისტად ითვლებოდა: 2001 წელს ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ისე გაიმარჯვა, უმეტესი ბრძოლა იპონით მოიგო. სწორედ მაშინ გამოჩნდა ზემოთ ნახსენები ნიკოლაოს ილიადისი. ცოტა ხანში, ჯარჯი ზვიადაური საბერძნეთის მოქალაქე გახდა, აქტიური ვარჯიშის შემდეგ კი ამ ქვეყნის ნაკრებში ჩაირიცხა: „მშრომელი და ალალი ბიჭია, საქმეს გულით ეკიდება და ძალიან მინდა ამ ოლიმპიადაზე გაუმართლოს.“

ჩვენ დარბაზის ფოიეში დავცილდით ერთმანეთს. ზურა სპორტსმენებისთვის განკუთვნილი ტრიბუნისკენ გაეშურა, მე კი სასტარტო ოქმების ასაღებად პრესცენტრში შევიარე. მოგვიანებით, დათო ქევხიშვილისგან გავიგე, რომ ზურაბ ზვიადაურს ჯარჯის ფინალური ბრძოლა, ისიც ბოლო წამები, ტელევიზორში უნახას: „წინა დღეს ღელავდა, ძალიან განიცდიდა





ფინალი ზეიადაური —
იზუმი (იაპონია). გასულია
3 წუთი და 3 წამი. იზუმი
შეტევაზე გადმოიდას, გა-
რეცეს იწყებს, მაგრამ ამ
მომენტს დადრაფებული
ზეიადაური წამით დაბნე-
ულ მეტოქეს კონტრილე-
თით ანარცხებს ტატამზე.
იპონი! ზურაბ ზეიადაური
ოლიმპიური ჩემპიონი!!!






ჯარჯის ამბავს. ვეუბნებოდი, ცოტა დაწყნარდი, ნერვებს გაუფრთხილდი, ხვალისთვის შეინახე-მეთქი. სანამ ჯარჯი ფინალში გავიდოდა, ტრიბუნაზე ვისხედით. მერე წამოდგა და მითხრა, ფინალის ყურება არ შემიძლია, წავი-დეთ, თან ავიწონებიო... ასაწონი ოთახი ზედა სართულზე იყო. იქ რომ მივე-დით, ტელევიზორი ჩართული ჰქონდათ, ფინალის ნახევარი უკვე გასული იყო და ჯარჯიმ სწორედ იმ მომენტში გააკეთა საჩემპიონო გდება... მაგრად გაგვიხარდა. მახსოვეს, პლასტმასის ბოთლი ეჭირა ხელში. ეს ბოთლი იატაკზე მოისროლა — ხვალ მეც უნდა გავხდე ჩემპიონიო.

დავით ქევხიშვილი: „იმ დღეს ათის ნახევრისთვის დავწექით. ხვალინ-დელზე თითქმის არ გვილაპარაკია. შუქი ჩავაქრეთ და დავიძინეთ. მშვიდია, შეუძლია თავისი თავის ხელში აყვანა. დილით, როგორც ყოველთვის, ხაბა-რელი შემოდის — აბა, ჩემო ლომო და ჩემო ფოცხვერო, დრო მოვიდა, გაიღ-ვიძე... გამოვაცილე, აბა, შენ იცი-მეთქი. სადღაც რვის ნახევარზე მოპრუნდა უკან აწონვიდან. ისაუზმა და მერე დილის ლოცვებს კითხულობდა. უცებ გა-მომხედა და შეიცხადა, აუუ, ეს რა ვქენი, საჭმელი ვჭამე, ლოცვები მანამდე უნდა წამეკითხაო. დავამშვიდე, არა უშავს, რასაც გულით წაიკითხავ, მაინც მადლია-მეთქი. მერე ჩანთაში კიმონო და სხვა საჭირო რაღაცები ჩაალაგა. წამოწვა, ელოდებოდა ცხრა საათის დადგომას, რომ წავსულიყავით დარბაზ-ში. ცხრა საათიც შესრულდა. გამოვედით და წავედით ავტობუსით.“

შოთა ხაბარელი: „ზურა წონის პრობლემას არასოდეს შეუწუხებია. ორი-სამი კილო ყოველთვის გვაქვს “თადარიგში”, ეს აუცილებელიც კია, რომ ორგანიზმი ზედმეტისგან განთავისუფლდეს. შეჯიბრების წინ ყოველთვის იკლებს ორ-სამ კილოს. ათენშიც ასე იყო. აწონვა ექვს საათზე იწყება. ექ-ვსიდან შვიდამდე არაოთიციალური აწონვაა, შვიდიდან რვამდე — ოფიცია-ლური. მე, როგორც წესი, ვდგები ხუთ საათზე, ექვსს თხუთმეტი წუთი რომ დააკლდება, შევდივარ ბიჭებთან, ვაღვიძებ. ეს ყველაფერი ხდება მშვიდად, უხმაუროდ. დილით უნდა დაუყვავო, სხვანაირად არ შეიძლება. რა თქმა უნ-და, მხოლოდ ისეთ საკითხებზე ვსაუბრობთ, რომელიც არავითარ შემთხვე-ვაში დაკავშირებული არ არის ჭიდაობასთან. ვკითხე, როგორ გეძინა-მეთქი. ძალიან კარგად, ვერც კი გავიგე, როგორ შემოხვედიო. ეს უკვე კარგია. მით უმეტეს, როცა სპორტსმენი წონას იკლებს და ორგანიზმი გახურებული აქვს.

ზურაბ ზეიადაური:
„ჩემს მაიმდაშვილს თე-
მურ შეთეკაურს ხშირად
უთქვაშს, რომ გამარჯვე-
ბის შემდეგ თაშეეკავე-
ბული კოფილიყავი და
სისარული ემიციურად
არ გამომეხატა. ათენში
ის იპორტული რომ დაგვ-
დე, ჩვენი ტრიბუნისკენ
შეეტრადი და თთი
გავიშვირე, შეეხდე თე-
მურის. ზის, ნარბასც არ
ხრის. ოლიმპიადა მოვიგე
ბოლო-ბოლო, თთი ავნიე,
მეტი ხომ არავერი გამი-
კეთება. ვაფიქრ, აღბათ
ესცე ზედმეტი მომვიდა-
მეთქი. თურმე, იმდენად
ცუდად იყო, რომ ემიციის
გამოხატვის უნარი
დაკარგა. მოსასულიერე-
ბელი გახდა.“





ზურაბ ზვიადაშვილი:
„ჩემპიონი რომ გავხდი,
თბილსიდან დამირეკეს
და მიმტერეს, ქალაქში
ზღვა ხალხი გამოსული,
შენს გამარჯვებას
ზემობენო. არ მეგონა,
თუ ამდენ ქართველს
გაგახარებდი.“

ჩვენმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა გაუსინჯა პულსი და წნევა. ყველაფერი ნორმაზე იყო. საუზმის რაციონი საგულდაგულოდ გვაქვს შერჩეული. აუცილებელია ცხელი წვნიანი, ქათამი, ყველი, ჩაი, ხილი... აწონვის შემდეგ ვიღებ კენჭისყრის ფურცელს და ვაცნობ. დილამდე არ ვეუბნები ამას. მე ასე ვთვლი, რომ სპორტსმენმა არავითარ შემთხვევაში დილამდე არ უნდა იცოდეს, ვის ხვდება. იმიტომ, რომ სუსტიც რომ გხვდებოდეს, გამუდმებით იმაზე ფიქრობ, მეტს ნერვიულობ, ძილშიც ეჭიდავები. ამიტომაც აკრძალული მაქვს ამ ინფორმაციის გაცემა.“

მაგრამ, აკრძალული ხილის ამბავი ხომ იცით. ზურაბ ზვიადაურმა, თურმე, კენჭისყრის დღესვე, ანუ 12 აგვისტოს გაიგო ყველაფერი — რომელ ჯგუფში გაამწესეს, ვის რომელ წრეში უნდა შეხვდეს. რომელიღაც თანაგუნდელმა შეაჩეჩა ხელში კენჭისყრის ფურცელი და, აბა, რა გული გაუძლებდა, შიგ რომ არ ჩაეხედა. ცნობისნადილმა სულ გადაავიწყა ხაბარელის დარიგება. ცხადია, ეს ამბავი მწვრთნელისთვის არ გაუმხელია, იმ თანაგუნდელის-თვის კი უთქვამს — კენჭისყრას რა მნიშვნელობა აქვს, მე აქ ოლიმპიადის მოსაგებად ჩამოვედიო.

რაკი „საიდუმლო“ უკვე გათქმულია, დროა ჩვენც გავეცნოთ კენჭისყრის შედეგებს. ჯერ ის ვთქვათ, რომ 90 კგ წონაში სულ 32 მოჭიდავე შეიკრიბა. პირველ ტატამზე ზვიადაურთან ერთად იჭიდავებენ ფრანგი დემონფონი, იტალიელი ლეპრე, რუსი ტაოვი, ბრაზილიელი ჰოხორატო, ბრიტანელი გორდონი და სხვები. მეორე ჯგუფში განაწილდნენ ჰოლანდიელი ჰუზინგა, კორეელი ჰვანგი, იაპონელი იზუმი, არგენტინელი კოსტა, კანადელი მორგანი და სხვები.

ზვიადაური პირველ წრეში ფრანცესკო ლეპრეს ხვდება.

პირველი ბრძოლები 18 აგვისტოს, თერთმეტის ნახევარზე დაიწყება.

დრო კიდევ არის.

* * *

საუზმის შემდეგ ზვიადაურს ოლიმპიურ სოფელშივე ჩაუტარეს აუცილებელი სამედიცინო პროცედურები. ლიკანში, ბოლო შეკრებაზე დაჭიმული



მხარი ბოლომდე მოშუშებული არ ჰქონდა, თან მუხლის დაუუფილობა აწუხებდა. საგანგაშო არაფერი იყო, მაგრამ ექიმებმა თავი დაიზღვიეს. უკანა გზაზე ზურას ხაბარელისთვის უთქვაშს, ჩემი უფროსი ძმა აპირებდა ესპანეთიდან ჩამოსვლას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოუხერხდათ. სამაგიეროდ, ჩამოსულა მამიდაშვილი თემურ შეთეკაური, რომელსაც ზურა ძალიან დიდ პატივს სცემს. დილით, ვიდრე საჭიდაოდ გავიდოდა, დარბაზის შესასვლელთან შეხვედრია თემურს და შეჯიბრებაზე დასასწრები ბილეთები გადაუცია. ტელეფონი და რადაც ნივთები ქვეხიშვილისთვის დაუტოვებია, თან უთხოვია, არავის არ დამალაპარაკო, „მომსახურების ზონიდან“ გასული ვარო. ტელეფონი არ ჩერდება, პასუხად კი ისმის — „ისვენებს, „ხურდება, „გასულია.“

შოთა ხაბარელი: „ტატამზე გასვლის წინ მე თვითონ ვეჭიდავე და გავახურე. ძალაზე იყო. ავთო მიქაბერიძემ მასაჟი გაუკეთა. მერე ვისაუბრეთ პირველ მეტოქეზე, გავარჩიეთ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ჭიდაობის მანერა, დგომი, ჩავლება. ძალიან ძლიერ ჯგუფში მოხვდა. პირველი მეტოქე — ევროპის ახალი ჩემპიონი, მერე კუბელსა და რუსს შორის გამარჯვებული, მერე მოდიოდა ფრანგი მსოფლიო ჩემპიონი, მერე მაღლიდან მოდიოდა ბრაზილიელი ან ინგლისელი. მოკლედ, ოთხივე შეხვედრა იყო საბრძოლი. ვესაუბრები და თან თვალებში ვუყურებ, მაინტერესებს მისი რეაქცია. მეუბნება — „ჩემთვის ეს უკეთესია. მე ამ შეჯიბრს ვიჭიდავებ კარგად.“ მერე უკვე თითოეული შეხვედრის წინ მეუბნებოდა — „დიმიტრიჩ, მე ამ შეხვედრას მოვიგებ!“

ახლა, მოდით, ზვიადაურის უკვე გარევეულ და მომავალ მეტოქეთა დოსიეს გადავხედოთ. ფრანცესკო ლეპრე, იტალიელი, 29 წლის. ევროპის 2004 წლის ჩემპიონი; ხასანბი ტაოვი, რუსი, 27 წლის. ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის ვერცხლის და 2004 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი; ფრედერიკ დემონფონი, ფრანგი, 31 წლის. მსოფლიოს 2001 წლის ჩემპიონი, 2000 წლის ოლიმპიური თამაშების და ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი; ვინსტონ გორდონი, ბრიტანელი, 28 წლის. 2002 წლის თანამეგობრობის თამაშების ჩემპიონი; პირობი იზუმი, იაპონელი, 22 წლის. 2003 წლის უნივერსიადის ჩემპიონი და აზიის 2003 წლის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი.



შოთა ხაბარელი: „ცინალ-ში დავალება იყო მარტინი. არ უნდა გადასულყოყო
შეტევაზე, ბრჯვენა გა-
რეფერენციუნდა დალიდე-
ბოდა, იქით უნდა დაეჭირა მეტოქე, იაპონელები
ეგრევე გადადიან ბრუნ-
ზე, ეს მათ სტილია. მე
ვნახე იზუმის შეხვედრები
და გაშიფრული მქონდა
გველაფერი, ვიცოდი,
რომ ის აუცილებლად
გადავიდოდა ბრუნზე და
გადავიდა კიდევაც.“

... „15 წელში ტატამზე გავდიგართ. აბა, ყურადღებით, ყველანი ყურად-
ღებით. მოვემზადოთ.“ შოთა ხაბარელი ბოლო განკარგულებას იძლევა: „აი,
უკვე ვდგავართ დარბაზის კუთხეში, ველოდებით ტატამზე გამოძახებას. ამ
დროს ძალიან საინტერესო რაღაცები ხდება. აქეთ მე და ზურა, იქით — მე-
ტოქე სპორტსმენი და მისი მწვრთხელი. უყურებ მაგათ და შენს სპორტსმენს.
სუნთქვა გესმის, ყველაფერი ჩანს — როგორ განწყობაზე არიან, რა შემარ-
თებით გამოდიან. ერთი ემზადება, მობილიზებულია, ცეცხლი გადმოსდის
თვალებიდან. მეორე დგას საცოდავად და არ იცის, საით წავიდეს, სად დაი-
მალოს. ეს ყველაფერი გადადის ტატამზე.“

I წრე. ზვიადაური — ლეპრე. 46-ე წამი. ბრძოლა ჯერ არ გახურებულა და
ყველაფერი დამთავრდა. ზეზელა კისრული და იპონი. ბრწყინვალე სტარტი.
მაყურებელი ტაშით აჯილდოებს ქართველ ფალავანს. დაიმსახურა.



შოთა ხაბარელმა
ოლიმპიური ჩემპიონობის
სიხარული 1980 წელს
გამოსცადა, ახლა კი
თავისი შეგირდის
ჩემპიონობით ხარობს



ზურაბ ზეგიადაური:

„ეს იყო ჩემი პირველი ღლიადიადა. მეგონა, რომ იქნებოდა სასწაული სიტუაცია. არადა, თავიდან მომენტენა, რომ თითვის ვიყავი ჩვეულებრივ შეჯიბრებაზე. ვამბობდი, კაცო, ეს არის ოლიმპიადა? მაგრამ მერე, როცა გავიმარჯვე, როცა ქრთული დროშა აღიმართა და ჩვენი პიმი დაუკრეს, ყველაფერი სხვანაირად დავინახე. ეს იყო ენით აუნერელი სიხარული.“



შოთა ხაბარელი: „ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მოუგებდა. ლეპრეს ჭიდა-ობის ისეთი სტილი აქვს, რომ ზურასთვის ზედგამოჭრილია. მაგალითად, პირდაპირ გადადის გარეფეხზე, ზურა კი ძალიან კარგად აკეთებს ბრუნს და ყველგან, სადაც იტალიელს ხვდება, ტატამზე ახეთქებს. ერთჯერ კი არა, ხუთჯერ და მეტჯერ და ერთი და იგივე კონტრილეთით. იმან მეტი არაფერი არ იცის... ზუსტად ასე მოხდა აქაც. ის ნამოვიდა და ზურამ და-უშვა კიდევაც. აი, ნახე, როგორ ნამოიღო კისრულით. როდესაც მონინა-აღმდეგ არის მაღალი, უფრო ადვილად შეიძლება შესვლა. მით უმეტეს, ზურას კარონნი ილეთია კისრული და როგორც კი მომენტი ჩაუგარდა, შე-ასრულა კიდეც.“

ოლიმპიური კვარცხლბეკი:
ჰიროში იზუმი,
ზურაბ ზეიდაური,
ხასანი ტაოვა და
მარე ჰუზინგა.
ათენი, 2004 წელი

II წრე. ზვიადაური — ტაოვი. დაძაბული ბრძოლა. მესამე წუთზე ტაოვს აფრთხილებენ, მეოთხე წუთზე — ზვიადაურს. ამას მოსადევს ორმხრივი აქტიურობა. ზვიადაური შეტევას ტატამის ერთ კუთხეში იწყებს, ბოლომდე აწვება და მოპირდაპირე მხარეს ამთავრებს. ისევ იპონი, საფინალო სასტვენამდე 46 წამით ადრე. და ისევ ტაში. წინა გდება ჯობდა, მაგრამ იპონი იპონია.

შოთა ხაბარელი: „ტაოვთან სხვა ამბავი იყო. წინაში ლიდერთა შორის ითვლებოდა. მაგასთან ადრე წაგებული ჰქონდა, ძალიან ტექნიკური მოჭიდავეა, ევროპის პირველობაზე ჭიდაობაში მოაყოლა, ცელს აკეთებს ძალიან კარგად... აქ პირველი ორი წუთი დაძაბული იყო, მერე გადატეხა ზურამ. არ მოეშვა, სანამ ბოლომდე არ მიიყვანა შეტევა. ეს არის მოგვერდი, ქართული კლასიკური მოგვერდი. ზურას სტილი არის სუფთა ქართული... კისრული, მოგვერდი, ბრუნი. ეს არის ქართული ჭიდაობის ძირითადი ილეთები. ნახე, როგორ შედის მოგვერდზე, როგორ აწვება ბოლომდე. იგრძნობა, რომ სუნ-თქვა კარგი აქვს, საჩემპიონოდ გამოიყურება.“

III წრე. ზვიადაური — დემონფონი. ურთულესი მეტოქე, ურთულესი ბრძოლა, სიარული ბენვის ხიდზე. გაიხსენეთ 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. მაშინ ფრანგმა მტკიცნეულით მოიგო. ახლაც იგივეს ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ზვიადაურის მოგვერდი და ბრუნიც დაბლოკილია. ზუსტად ორი წუთია გასული და ქართველს აფრთხილებენ. ბოლო წამები. ზვიადაური გააფთრებით უტევს, მაგრამ ყველაფერი გადაწყვეტილი ჩანს. გვერდითი მსაჯები დაუინებით ითხოვენ შეხვედრის შეჩერებას. შუამავალმა მსაჯმა, მარკოოლმა ტუპამი ხნიურმა, როგორც იქნა, ხელი აღმართა. აფრთხილებენ ფრანგს, საფინალო სასტვენამდე 4 წამით ადრე. დამატებით დრო, გასულია წუთი და 11 წამი. ბრძოლა ჩოქზენში გადადის, ზვიადაურის ილეთს იუკოთი აფასებენ. ეს უკვე გამარჯვებაა.

შოთა ხაბარელი: „ფაქტიურად, ეს იყო ფინალის ტოლი შეხვედრა. ბრძოლის დაწყებამდე მკაცრი საუბარი მქონდა. ცოტა ცეცხლი აკლდა თვალებში... აი, შეხედე, აძლევს იმას ჭიდაობის საშუალებას. თვითონ არ არის აქტიური. აი, კინაღამ მოყვა მტკიცნეულზე. ზურა ჩოქზენში არ ჭიდაობდა ძლიერად, მაგრამ დაცვა შედარებით კარგი ჰქონდა. ბოლო წამებზე ერთ



შესვლასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მოძრაობასაც კი. ვუყვირე, რას აკეთებ, მაგითი მთავრდება ყველაფერი-მეტქი. მერე მითხრა, თითქოს დაბინდული გონიება გამინათდაო. ფრანგებს ძიუდოში დიდი გავლენა აქვთ, მსაჯთა კომიტეტს ფრანგი ბესონი ხელმძღვანელობს.

ამას ემატებოდა ისიც, რომ არც ერთი მედალი არ ჰქონდათ ფრანგებს, რაც მათთვის კატასტროფა იყო. დემონფონი ჩავლებებზე მუშაობს ძალიან მაგრად, საერთოდ, ჩავლებების მოჭიდავეა. ძალიან მაგრად აკონტროლებს ყველა ფანდს და ფაქტიურად ეგრეც წავიდა ჭიდაობა. უტევდნენ ორთავენი, მსაჯებმა მაინც ვერ გაბედეს გაეფუჭებინათ ზვიადაური. არ შეიძლებოდა, ფრანგი რომ არ გაეფრთხილებინათ. ბოლო 40 წამი სულ პრესის ქვეშ ჰყავდა ზვიადაურს — უტევდა და უტევდა, ის კი პასიურობდა. ერთხელ მსაჯებმა დააპირეს ფრანგის გაფრთხილება, მაგრამ შეიკავეს თავი. მერეც ანალოგიური აქტიურობა რომ წავიდა, უკვე გვერდითი მსაჯები თვითონ წამოდგნენ აქეთ-იქიდან. ამ შემთხვევაში ღმერთმაც გადმოგვხედა. თუ მიაქციე ყურადღება, მატეს რომ იტყვის მსაჯი, ზურა მომენტალურად ეშვება, მთლიანად დუღდება. მაყურებლისთვის ისე ჩანს, რომ ის მოკვდა. ამ დროს კი ძალებს აღიდგენს. მერე რომ ჩაერთვება, ისევ ფეთქებადი ხდება, შეუძლია კიდევ ორი დამატებითი დრო იჭიდაოს. მორიდან კი ისე ჩანს, რომ თითქოს სუნთქვის პრობლემა აქვს. ფრანგი რომ გააფრთხილეს, ზურამ მითხრა, აი, მაშინ დავრწმუნდი, რომ მოვუგებდიო. ფრანგი უკვე არაბუნებრივად სუნთქვდა, ის გატყდა.

ზურას გადამწყვეტი ილეთი იყო მელნიცა, ჩვენებურად — ნისქვილი. ყოვნი და გლება დინამიკაში. ეს იყო იუკო და მისცეს კიდევაც:“

ზურაბ ზვიადაური: „რაც შემეძლო და არ შემეძლო, ყველაფერი ჩავდე იმ ფრანგთან. ამ შეხვედრის შედეგზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ძირითადი დროის მიწურულს, როცა შოდოთი ვაგებდი და წამებილა რჩებოდა, იმედი მაინც არ დამიკარგავს. რატომდაც, ეგეთი რწმენა მქონდა, რომ ღმერთი არ გამწირავდა. ოლიმპიადამდე და მერეც იმდენი რამ გადავიტანე, ალბათ, არ ვიყავი წაგების ლირსი. ძირითადი დრო რომ ამოიწურა, თვალებზე ცრემლი მომადგა. ვფიქრობდი, ნუთუ უნდა დავმარცხდე, ღმერთო, ხომ იცი, ჯაბანი არა ვარ, გამარჯვებაში დამეხმარე-მეტქი. დამატებით დროში,



ზურაბ ზეინადაური
მეუღლესთან, ხათუნა
ჭინჭარაულთან ერთად

გდება რომ გავაკეთე და მსაჯს შევხედე, იუკო ჩამითვალა, უცებ დავისვენე, თითქოს უზარმაზარი ლოდი მოვიხსენი. ისეთი დალლილი ვიყავი, ფეხზე ვერ ვდგებოდი, მაგრამ სულიერად დავისვენე.“

* * *

ნახევარფინალების წინ გამოცხადდა დიდი შესვენება. დარბაზი რამდენიმე წუთში დაცარიელდა. შეჯიბრება ხუთის ნახევარზე განახლდება. მანამდე დედიდი დროა, მთელი სამი საათი. სპორტსმენების ნაწილი ოლიმპიურ სოფელში მიემგზავრება, ნაწილი კი აქვე, სათადარიგო დარბაზში რჩება. მათ შორის — ზვიადაურიც. ხაბარელი ყოველთვის ასე იქცევა, ავტობუსით წინ და უკან სიარულს დარბაზში დარჩენას ამჯობინებს. ლოგიკურია. ნახევარი დრო გზაში უნდა დაიკარგოს, მგზავრობა კი დლის სპორტსმენს. საჭმელი წამოღებული აქვთ: ყველი, ხორცი, შოკოლადი, ხილი. ზედმეტი არ ვარგა, მსუბუქად ისადილებს და ჭიქა ჩაის დააყოლებს. სულ ეს არის. მაგრამ ფეხის ტრავმას რა ეშველება? რაც დრო გადის, დაუეუილი ადგილი სივდება, ტკივილი მატულობს და ვითარება კიდევ უფრო მძიმდება. ჯერ ტაოვმა, მერე კი



შოთა ხაბარელი,
ზურაბ ზეიადაური და
ნესტორ ხერგვანი.
უკან, მარცხნივ —
ანზორ ქიბრონაშვილი

დემონფოკონმა იმდენი ურტყეს ფეხში, რომ წვივის ზედა მესამედში, მუხლის სახსართან გემატომა განუვითარდა. ერთ მომენტში ველარ დადიოდა, საერთოდ ფეხზე ვერ დგებოდა. მაინც თუ წამოიწევდა, ხაბარელი უმაღლ ძირს დასვამდა, რათა უცხო თვალისოვის მოერიდებინა. დაიწყეს ბჭობა იმაზე, როგორ დაეცხროთ ტკივილი, როგორ გადაეწყვიტათ პრობლემა. ხაბარელმა იყითხა, ნემსი ხომ არ ვცადოთო. ნემსის გაკეთებას სპეციალური ნებართვა სჭირდება, დოპინგურონტროლს ისე ვერ გაივლი. კახაბრიშვილი იმის მომხრე იყო, რომ მტკივან ფეხზე ყინული დაედოთ და თუ ეს შედეგს არ გამოიღებდა, ნემსზე მერე ეფიქრათ. პროცედურას რომ მორჩინენ, ზვიადაურმა თქვა — ცოტა უკეთ ვარ, ნემსი არ მინდა, ასე ვიჭიდავებო. გარეთ გავიდნენ, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქეს, მერე კი იმ ტრიბუნასთან მივიდნენ, საიდანაც ქართველები გულშემატკივრობდნენ. ზვიადაური ამბობს, ნახე, აქედან ტატამი თურმე რა კარგად ჩანსო. დაუწერელი კანონია: შეჯიბრების დღეს სპორტსმენები ახლობლებთან და გულშემატკივრებთან კონტაქტს ერიდებიან. ზედმეტი ემოცია საჭირო არ არის, მაგრამ ზვიადაურისთვის გამონაკლისი მაინც გაკეთდა.

ზურაბ კახაბრიშვილი: „ცარიელ ტრიბუნასთან რომ ვიდექით, ზურამი იყითხა — ნეტა, თემურ შეთეკაური აქვე ახლომახლო თუ არისო. გინდა, რომ


შეხვდე-მეთქი? კი, მინდაო — სახე გაუნათდა. გავედით გარეთ და ვიპოვეთ თემური. მე მოშორებით დავდექი. რაღაც ილაპარაკეს, ცოტა ხანში ორივეს ცრემლი წამოუვიდა. მეც ვერ შევიკავე თავი. ბოლოს, თემურმა თვალებში შეხედა, მხარზე ხელი დაჲკერა და ასე დაცილდნენ ერთმანეთს.“

მობრუნდნენ მოსამზადებელ დარბაზში. ზურა იქვე ტატამზე წამოწვა და მიყუჩდა. სხვებიც წვანან თავისთვის და ჩუმად არიან. ასეთ დროს სიმზვიდე და ორგანიზმის მოძუნება აუცილებელია. ოლონდ — ძილი არა. ძილ-მა სიზმრები იცის. აგერ, ტატამის კუთხეში გორდონი გაშოტილა, თავზე მწვრთნელი ადგას, ზემოდან დაჲკერებს. რამდენიმე წუთში ზვიადაურს და გორდონს მთავარ არენაზე უხმობენ. ეს იქნება ნამდვილი გლადიატორების ბრძოლა. ოთხი საათი შესრულდა. წამოდგომის და გაურების დროა. ზურა ოდნავ კოჭლობს, მტკივანი ფეხის გადადგმა უჭირს, მაგრამ ცდილობს, ეს არ შეიმჩნიოს.

„დიმიტრიჩ, მე ამ შეხვედრას მოვიგებ!“ — უკვე მეოთხედ იმეორებს ზვიადაური. მაგრამ, ამჯერად მის ხმაში ძველებური სიმტკიცე არ იგრძნობა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ხაბარელი: „მონუნუნე სპორტსმენი არ არის, თვითონ არაფერს გეტყვის, ერთხელაც არ დაიჩივლებს, მაგრამ მე ხომ ვხედავდი, რამიც იყო საქმე. მაფიქრებდა, როგორ გაუძლებდა შემდგომ დატვირთვას. ფაქტიურად, ცალი ფეხით უნდა ეჭიდავა. ვკითხე და მიპასუხა — „გაძლებს ეს ფეხი, ამაზე ლაპარაკი არა არის. სხვა რა გზა აქვს, უნდა გაძლოს.“

ნახევარფინალი. ზეიადაური — გორდონი. ბრიტანელი თავს იცავს, იშვიათად უტევს. ფიზიკურად ძალიან ძლიერია. მსაჯები მეტოქეებს აქტიური ჭიდაობისაკენ მოუწოდებენ და ორივეს აფრთხილებენ. ცოტა ხანში იგივე მეორდება. მეორე წუთის მიწურულს გორდონს ისევ აფრთხილებენ — უკვე მესამედ გარბის ტატამიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ზურას ვაზარი აქვს. მესამე წუთზე გორდონის გდება იუკოთი ფასდება. კარგი გდება გამოუვიდა. შეხვედრის დამთავრებამდე წუთი და 5 წამი რჩება — გორდონი ისევ გარბის ტატამიდან. მეოთხე გაფრთხილება გორდონს, მეოთხე გამარჯვება ზვიადაურს. წინ ფინალია.

შოთა ხაბარელი: „შეიძლებოდა იმ გდებისთვის ვაზარიც მიეცათ. მაშინ ზურას გაურთულდებოდა საქმე. მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ ზვიადა-



გუგული აპრაშიშვილი:
„ხშირად ამბობენ და თვითონაც იძახის — ზარჩაცი ვიყავოთ. მე მავას არ ვეთანხმები. ჯერ ერთი, შეჯიბრებაზე გაიძებოდა, ცალი ხელი რომ არა პქნოდა, მაინც გავიდოდა ტატამზე და იჭიდავებდა. საოცრად მებრძოლი და აზარტული იყო.“



შარვები და ზურაბ
ზეიადაურები

ური გაცილებით მაღალი კლასის მოჭიდავეა. უბრალოდ, მეტოქე უხეშად ბლოკავდა და ჭიდაობის საშუალებას არ აძლევდა. მსაჯებმა ეს კარგად და-ინახეს და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღეს. ინგლისელმა იმ ნატკენ ფეხში იმდენი ურტყა, რომ გემატომა ისევ გართულდა. არადა, ფინალამდე 15, მაქსიმუმ 20 წუთი რჩებოდა. ისევ დადგა ნემსის საკითხი, მაგრამ რომც გადაგვეწყვიტა, დრო არ გვყოფნიდა. დრო იყო ძალიან ცოტა.“

* * *

დრო მართლაც ძალიან ცოტა იყო. ეს ის დროა, როცა ყველაფერი გვერ-დზე უნდა გადადო, მათ შორის — თუნდაც გაუსაძლისი ფიზიკური ტკივილი და იფიქრო მხოლოდ მთავარზე. ხაპარელმა მკაცრად გააფრთხილა: „იწექი, ფეხზე არ ნამოდგე, არ გაიარო.“ მაგრამ რამდენიმე წუთში მაინც მოუწევს



წამოდგომა. რამდენიმე წუთში ფინალი დაიწყება. იაპონელები მოშორებით დგანან და ყველაფერს აკვირდებიან — რა ხდება, როგორ ხურდება, როგორ ემზადება მოწინააღმდეგები. მათი ფალავანი ჰიროში იზუმი იქვე კუთხეში განმარტოებულა და ფიქრებში ჩაძირულა. იზუმი დღეს კარგად გაისარჯა, ბელორუს კუსარენეას და ბერძენ ილიადის (ოლონდ — დიონისიოსს) იპონით აჯობა, არგენტინულ კოსტას და მოქმედ მსოფლიო ჩემპიონს, იმ ჩემპიონატზე ზვიადაურის დამამარცხებელს, კორეელ ჰანგს კი ქულებით მოუგო.

ფინალი. ზვიადაური — იზუმი. შეხვედრის ნახევარი ისე გადის, რომ მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. მაგრამ გამოიკვეთა ჩვენთვის იმედისმომცემი სურათი — ზვიადაური მაგრად დგას და გადამწყვეტი იერიშისთვის ემზადება. სწორედ ამ მომენტში იაპონელს აფრთხილებენ პასიურობისთვის. გასულია 3 წუთი და 3 წამი. იზუმი შეტევაზე გადმოდის, გარეფეხს იწყებს, მაგრამ ამ მომენტს დადარაჯებული ზვიადაური წამით დაბნეულ მეტოქეს კონტრილეთით ანარცხებს ტატამზე. იპონი! ზურაბ ზვიადაური ოლიმპიური ჩემპიონია!!!

ახლა ვიდეოფირი უკან დავატრიალოთ და მწვრთნელის სკამიდან წამოსული რეპლიკები მოვისმინოთ:

— არ ჩაგიდგეს, წამოვიდა. ააა, არ უნდა მოგეხსნა, არ ჩაგიდგეს.

— კარგია, ესე მიდი, კარგია. ყურადღებით, წავიდა, ფრთხილად, ჩაუდგა, ჩაუდგა. ფრთხილად, ზურა ჩაუდგა, ჩაუდგა, წაუდგა, წავიდა, წავიდა... წავიდა.

— მატე არ არის, მატე არ არის. არ ჩაგიდგას, წავიდა მუშაობა.

— ფრთხილად, ცალმხრივი. წავიდა, წავიდა, წავიდა მოძრაობა.

— დაიკიდე, დაიკიდე, დაიკიდე, დაიკიდე. მეგდარია, მევდარი, გაიგე?

— შიდო, ფრთხილად, წინ არ დაგატრიალოს.

— შიდო, შიდო, შიდო, შიდო, შიდოოო, შიდოოო, შიდოოო.

— ზურა, ყურადღებით, ყურადღებით.

— ბოლომდე ზურა, კარგია, კარგია.

— ფრთხილად. უნდა იმუშაო, უნდა იმუშაო.

— წავიდა, წავიდა, წავიდა!

— ოოოოუ, ოოოოუ, ოოოოუ, ოოოოუ, ოოოოუ, ოოოოუ, ოოოოუ!!!

შოთა ხაბარელი: „დარბაზში რაც არ უნდა ხმაური იყოს, თითქმის ყვე-

ლაფერი ესმის. ჭიდაობა რომ შეწყდება, ერთმანეთს ვუყურებთ. წესებით ლაპარაკის უფლება მაქვს, ნამოდგომა მაქვს წესებით აკრძალული... ფინალში დავალება იყო მარტივი. არ უნდა გადასულიყო შეტევაზე, მარჯვენა გარეფეხზე. უნდა დალოდებოდა, იქით უნდა დაეჭირა მეტოქე. იაპონელები ეგრევე გადადიან ბრუნზე, ეს მათი სტილია. მე ვნახე იზუმის შეხვედრები და გაშიფრული მქონდა ყველაფერი. ვიცოდ, რომ ის აუცილებლად გადავიდოდა ბრუნზე. და აი, გადავიდა კიდევაც. იმან ვერ მოითმინა, თვითონ გადააჯდა გარეფეხზე, ზურამ კი ბრუნზე დაიჭირა. ისე დაუდგა, ისე გამოიწვია, რომ შექმნილიყო მისთვის ხელსაყრელი მომენტი. აյ იაპონელს შანსი არ ჰქონდა. ზურა ასეთ მომენტს ასი პროცენტით იყენებს. ეს არის კლასიკური ჩვენებური ბრუნი. აიყვანა ბოლომდე, გამოაცალა საყრდენი წერტილი და წამოიღო. ნახე, მარჯვენა ხელით რა მაგრად მუშაობს, შანსი არ დაუტოვა გასვლის.“

აბა, გუგული აბრამიშვილი რას გვეტყვის, ზვიადაურის პირველი მწვრთნელი: „საოლიმპიადოდ შვებულება ავიღე. რაც ტელევიზორში აჩვენეს, არც ერთი შეხვედრა არ გამომიტოვებია. სიმართლე რომ გითხრათ, მე ჩემპიონობას ვერ წარმოვიდგენდი. არა იმიტომ, რომ პოტენციურად ზვიადურს არ შეეძლო ჩემპიონობა. უბრალოდ, ეს წელი მისთვის ძალიან მძიმე იყო. ამდენი ტრავმა და უბედურება გამოიარა. ოლიმპიური თამაშებისთვის ოთხი წელი ემზადებიან და მთელი სეზონი რომ გაგიცდება, თეორიულად, მედალზეც არ უნდა იფიქრო. მაგრამ მაგისი ჟინი და შემართება რომ ვიცი, მედლის იმედი ნამდვილად მქონდა. როდესაც ის შეხვედრები მოიგო — პირველი, მეორე, მესამე, როდესაც ფრანგი ოთხი წამით ადრე გააფრთხილეს, იმედი მომეცა. არანაკლებ როტული იყო ინგლისელთან ბრძოლა. ჩემთან სახლში მთელი უბანი შეიკრიბა. როცა მსაჯი სამი შოდოს შემდეგ ტატამიდან გასვლას აჩვენებს, ესე იგი, მოჭიდავე იხსნება. ესენი ვერ მიხვდნენ ჯერ რა ხდებოდა, მე კი წამოვხტი და დავიწყე ყვირილი, ფინალშია, ფინალში-მეთქი!“

ზურაბ ზვიადაური: „გაგიკვირდებათ, მაგრამ იაპონელთან შეხვედრაში, იმის მიუხედავად, რომ ფრანალს ჭიდაობდი, ყველაზე ნაკლები ვინერვიულე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვუგებდი, თანაც გდებით მოვუგებდი. იმას ისეთი სტილი აქვს, მოდის ჭიდაობაზე. რა ილეთსაც აკეთებს ის, მისგან ვაკეთებ მე კონტრილეთს. ამიტომ ვფიქრობდი სუფთა მოგებაზე. ასეც მოხ-



და. როცა გაფრთხილება მიიღო, უფრო წამოვიდა ჭიდაობაზე. შემომიტია და ზუსტად ის იღეთი წამოიწყო, რასაც ველოდი... ეს იყო ჩემი პირველი ოლიმპიადა. მეგონა, რომ იქნებოდა სასწაული სიტუაცია. არადა, თავიდან მომეჩვენა, რომ თითქოს ვიყავი ჩვეულებრივ შეჯიბრებაზე. ვამბობდი, კაცო, ეს არის ოლიმპიადა?! მაგრამ მერე, როცა გავიმარჯვე, როცა ქართული დროშა აღიმართა და ჩვენი ჰიმნი დაუკრეს, ყველაფერი სხვანაირად დავინახე. ეს იყო ენით აუწერელი სიხარული.

* * *

18 აგვისტოს ამშებს სპარტაკ ზვიადაური ასე იხსენებს: „მთელი ქვეყანა ფეხზე იდგა და, აბა, წარმოიდგინეთ, რა ამბავი იქნებოდა ახმეტაში, ოჯახის წევრები რა დღეში ვიქნებოდით. ლვის ნება იყო ეს ყველაფერი. ჩვენთან სახლში დილიდანვე ზღვა ხალხი შეიკრძა. მერე, ვერსად რომ ვერ დავეტიეთ, კლუბში გადავინაცვლეთ და დიდი ეკრანი ჩამოვკიდეთ. მთელი ხალხი იქ მოგროვდა, მაგრამ ყველასთვის მაინც ვერ მოიძებნა ადგილი. გარეთ დარჩენილები ისევ სახლებში მიბრუნდნენ... დამთავრდა ჭიდაობა და ყველანი ქუჩაში გამოცივდნენ. უამრავი ხალხი შემოაწყდა ჩვენს სახლს. ხალხი ტიროდა. ერთი მეზობელი მოვიდა, რეზო ტარტარაშვილი. ხეირიანად მოლოცვაც ვერ მოასწრო, ისე ჩაიკეცა ეზოში. ძლივს მოვასულიერეთ, კინაღამ შემოგვაცვდა კაცი.

მერე გაჩაღდა ქეიფი. სუფრები პირდაპირ ქუჩაში ჰქონდათ გამოტანილი. მთელი ახმეტა ქეიფობდა. ველარ გაიგებდი, ვინ ვისთან იყო, ვინ სტუმარი იყო და ვინ — მასპინძელი. ერთად შეკრებილი ამდენი ბედნიერი ადამიანი არასოდეს მინახავს. მე კი არა, რაიონის უხუცესებსაც არ ახსოვთ ასეთი ამბავი... შუა ქეიფში ვართ და ამ დროს ზურამ დარეკა ათენიდან. ჯერ დედას ელაპარაკა, მერე მამაჩემს ეკითხება — აბა, მანდ როგორ ხართ, ჩემი ჭიდაობა თუ მოგეწონათო. მამაჩემს დიდი ემოციები არ უყვარს. არა უშავდა შვილო, კარგი იყოო — უპასუხა მოკლედ. მერე ჩვენს გასაგონად დაამატა — განა რა არის აქ საკვირველი, ჩემპიონი მარტო ჩემი შვილი ხომ არ გამხდარა, ზოგი ორჯერ და სამჯერ იყოო.“

ზურაბ ზვიადაური ჯერ „მხოლოდ“ ერთგზის ოლიმპიური ჩემპიონია. 1992 წელს, როცა ბარსელონაში დავით ხახალეიშვილმა გაიმარჯვა, მაშინაც დაუკრეს ჰიმი და აღმართეს საქართველოს დროშა, მაგრამ მაშინ ქართველი სპორტსმენები ეგრეთ წოდებული გაერთიანებული გუნდის სახელით გამოდიოდნენ. ამჯერად, ათენში დროშაც, ჰიმიც და ჩემპიონიც ერთადერთ ქვეყანას — საქართველოს ეკუთვნოდა. ნახეთ, რას წერს 2004 წლის ქართული პრესა: „საქართველო! შენ ამაყი ხარ, რადგან გყავს ასეთი შვილი. ჩემი ქვეყანავ, შენ აღარავინ ჩაგთვლის არშემდგარად და ნაკაცარად, რადგან შენ შვი ვაჟეაცი, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური!“ აი, ემოცია! ცხელ გულზე გადმოღვრილი.

რაც შეეხება ზურაბ ზვიადაურს, მან გამარჯვება აღნიშნა ძალიან უბრალოდ — მაღლა ასწია საჩვენებელი თითო. სულ ეს იყო.

ზურაბ ზვიადაური: „ჩემს მამიდაშვილს თემურ შეთეკაურს ხშირად უთქვამს, რომ გამარჯვების შემდეგ თავშეავებული ვყოფილიყავი და სიხარული ემოციურად არ გამომეხატა. ბავშვობიდან მასწავლიდა ამას. მახსოვს, პირველად ახალგაზრდული ტურნირი რომ ვიჭიდავე და ფინალში გავედი, ის ჩემი მეტოქე მოვიდა, შემომხედა და მყითხა, შენ ხარო ზვიადაური... თითქოს დამცინა. ვიფიქრე, ეს ვინ არის, ალბათ ძალიან მაგარია-მეთქი. მაღალი ბიჭი იყო. ვიჭიდავეთ, მოვკიდე ხელი და დავახეთქი ორ წამში. წამოვხტი ხელების ქნევით და ამ დროს თემურის თვალებს შევეფეთე. ისე შემომხედა, არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი... ათენში ის იაპონელი რომ დავაგდე, ჩვენი ტრიბუნისკენ შევტრიალდი და თითო გავიშვირე, შევხედე თემურის. ზის, წარბსაც არ ხრის. ოლიმპიადა მოვიგე ბოლო-ბოლო, თითო ავწიე, მეტი ხომ არაფერი გამიეთებია. ვიფიქრე, ალბათ ესეც ზედმეტი მომივიდა-მეთქი. თურმე, იმდენად ცუდად იყო, რომ ემოციის გამოხატვის უნარი დაკარგა. მოსასულიერებელი გახდა. ისე იჯდა, გაუნძრევლად.“

ჰიმი იზუმის ყველაზე დიდი გულშემატკივარი კი მამამისი ყოფილა. პრესკონფერენციაზე ასე თქვა: მამაჩემმა კუნძულ ჰონსიუდან ამხელა გზა გამოიარა, ჩემს მხარდასაჭერად ათენში ჩამოვიდა და ძალიან დამწყდა გული, იმდები რომ ვერ გავუმართლეო. ზვიადაურიც რამდენიმე ფრაზით შემოიფარგლა, განსაკუთრებით გამოყო დემონფონონთან შეხვედრის მნიშვნელობა, მაღლობა გადაუხადა ყველა გულშემატკივარს: ეს ჩემთვის და ჩემი



გელა დაიაური და
ზურაბ ზეიადაური

ქვეყნისთვისაც დიდი წარმატებაა, ბედნიერი ვარ რომ ჩემს ირგვლივ ამდენ გახარებულ ადამიანს ვხედავო. მერე იყო დოპინგუროლი და სამთავრობო ზარები თბილისიდან. ხაბარელმა გაიხუმრა, მაგას ბორჯომის წყალს და ჰაერს თუ აღმოუჩენენ, ჩვენი დოპინგიც ეგ არისო. როგორც კი ზვიადაური დოპინგუროლზე შეიყვანეს, მისი მობილური მაშინვე აწერიალდა. კონტროლის ოთახში ტელეფონით შესვლა აკრძალულია. ზარს ზურაბ კახაბრიშვილმა უბასუხა: „ჩვენი პრეზიდენტი რეკავდა. ოთახის კარი შევაღე და ოფიციალურ პირს ვთხოვე, ხაზზე საქართველოს პრეზიდენტია, ნება დამრთეთ, რომ ტელეფონი სპორტსმენს გადავაწოდო-მეთქი. დამთანხმდნენ. მართლა პრეზიდენტია, გაკვირვებით შემომხედა ზურამ. რა ვქნა ახლა, რა უნდა ვუთხრაო. შენ ყურმილი გამომართვი, დანარჩენზე ნუ ნერვიულობ-მეთქი... თერთმეტი დაწყებული იყო, იქიდან რომ გამოვედით. ვეუბნები, ოლიმპიური ჩემპიონი უკვე ხარ, ამხელა მწვერვალზე ახვედი, ანი რას იზამ, რა უნდა აკეთო-მეთქი. გაეცინა. ჯერ შენ ფეხი მომირჩინე, მოსაჭრელი არ გამიხდეს, მერე მე ვიცი, თბილისში რომ ჩავალ, ცოლს მოვიყვანო. მართლაც მოიყვანა.“



* * *

...თბილისი ზარ-ზეიმით დახვდა ქართველ ოლიმპიელებს. ზურაბ ზვია-დაურს დღემდე მოყვება მაშინდელი ემოცია: „მეგონა, მარტო ოჯახი და ჩე-მი ნაცნობები, მოკლე წრე, ვინც ჩემს გარშემო ტრიალებდა, გაიგებდა ჩემი გამარჯვების ამბავს. ვერ ნარმოვიდგენდი, რომ ამხელა სიხარული იქნებოდა. პირდაპირი ჩართვა მქონდა ეთერში, რომელიდაც უურნალისტი იძახოდა, თქვენ არ იცით, რა ხდება საქართველოში. მერე მეგობრები მირეკავდნენ, ზურა, იცი, რა ხდება საქართველოში? თავიდან მეგონა მეხუმრებოდნენ. ჩა-მოვედი თბილისში და, ვხედავ აეროპორტში ხალხი ღობეზეა ამომძვრალი, კა-ცო. აეროპორტში არც გააჩერეს მანქანა, ესკორტი დაგვხვდა იქ. არადა, ვუ-ყურებ — ზღვა ხალხია აეროპორტში. წამოვედით. ფანჯარაც არ ჩამონიეს, ხელი მაინც დაგვექნია ამ ხალხისთვის. აეროპორტის მთელი ტრასა ხალხით



2011 წლის 29 იანვარს
ზურაბ ზეიაძეურმა
კიბონ სახლში დატოვა
და თბილისის სპორტის
სასახლეში კოსტიუმში
გამოწყობილი მივიდა. იმ
დღეს ზეიაძეურმი დიდი
სპორტიდან გააცილეს.

იყო გავსებული. თავისუფლების მოედანზე, ზემოდან რომ გადმოვიხედე, ჩემ-
თვის ვთქვი, ვაიმე, მართლა რაღაცა ხდება, ამდენი ხალხი თუ ჩვენი გულის-
თვის აქ შეგროვდა-მეთქი. ტრიბუნიდან რომ ჩამოვედი, ვიღაცამ დაიყვირა —
ზურა! ხალხი მეცა, ზოგი მკოცნიდა, ზოგი ხელში აყვანას ცდილობდა... კიდევ
ერთი ამბავი მახსენდება. მე და ჯარჯი უკვე ოლიმპიური ჩემპიონები ვართ.
იქვე, ათენის ოლიმპიურ დარბაზთან გამოვედით, ბატონი შოთაც ჩვენთან
არის. ჯარჯის წარამარა აჩერებენ, ულოცავენ, ავტოგრაფს თხოვენ, სურათს
იღებენ. მე ხაბარელს ვეკითხები, დიმიტრიჩ, საქართველოში რომ ჩავალთ,
ნეტა იქაც ასე იქნება-მეთქი. შემომიტრიალდა და მითხრა: შვილო, ერთი ქარ-
თველის შენ გენაცვალე და შენი ჭირიმე ამათ მილიონს გერჩივნოსო. ისა ჯო-
ბიაო. მართლაც, ჩემი ქართველი ქუჩაში რომ შენ გენაცვალეს მეტყვის, ცაში
ვფრინავ. როგორ უნდა დავკარგო მე ამ ხალხის სიყვარული.

* * *

ადამიანი თვითონ არის თავისი ბედის მჭედელი. თუ თავში არ გიდევს ის აზრი, რომ წარმატება მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, მარცხის მიზეზს ყოველთვის იპოვი, რაღაცას ან ვიღაცას გადააბრალებ — ცუდ პირობებს, მწვრთნელს, მსაჯს, ტრავმას, უილბლობას და ათას სხვა რამეს. საკუთარ თავს უნდა შემოუძახო, რომ რაც არ უნდა პირობებში იყო, ხელი არ ჩაიქნიო და შენი ბოლომდე გაიტანო. გამარჯვება სხვებსაც უნდა გაუნანილო, მარცხე პასუხისმგებლობა კი საკუთარ თავზე უნდა აიღო. სპორტული ცხოვრება ხანმოკლეა, იმდენად ხანმოკლე, რომ, სანამ ძალა შეგწევს, ყოველი დღე საქმეს უნდა მოახმარო. ზურაბ ზვიადაური საკუთარი მნარე გამოცდილებით, სხვების გასაგონად ამბობს: დროს გაუფრთხილდით, დროს! ამას გვიან მიხვდა, წლების შემდეგ, როცა დიდების შარავანდედში გახვეული, კვარცხლბეკიდან ჩამოვიდა და აღმიაჩინა, რომ მისი ადგილი უკვე სხვამ დაიკავა. როცა საკუთარ თავთან მარტო დარჩა და ძალიან, ძალიან ინანა, რომ დრო უმოწყალოდ გაფლანგა. 23 წლისა გახდა ოლიმპიური ჩემპიონი და იმის შემდეგ, მთელი ექვსი თუ შვიდი წელინადი, სხვების ცხოვრებით იცხოვრა. ყველას მასთან უნდოდა ქეიფი და დროისტარება, ყველა მისი დახმარების მოლოდინში იყო, მასთან გამოჩენა ეამაყებოდა. მას კი, გულიანს და ხათრიანს, უარის თქმა ეძნელებოდა. არაერთხელ ყოფილა, რომ საწვრთნელ შეკრებაზე მისულან და იქიდან პირდაპირ წაუყვანიათ სამთავრობო ღონისძიებაზე, ან რომელიღაც პრეზენტაციაზე დაუპატიჟიათ. კიდევ და კიდევ — გაუთავებელად. ერთხელაც დაიჩივლა: „დავიღალე ამდენი შეხვედრებით. ვინმეს თუ ყურადღებას ოდნავ მოვაკლებ, ფიქრობენ, რომ ჩემპიონობა თავში ამივარდა. იმას კი ვერ ხვდებიან, რომ მე ერთი ვარ, ისინი კი ბევრნი არიან და ყველას ვერ ვწვდები. მეც ადამიანი ვარ, ძალიან დავიღალე.“ სანამ სხვებს ყურადღებას არ აკლებდა, აქეთ სპორტი დარჩა უყურადღებოდ. დღითიდღე კარგავდა ფორმას და ეს შედეგებსაც დაეტყო. ოლიმპიადის შემდეგ ერთი-ორი ტურნირის მოგება და რამდენიმე მეორე-ხარისხოვან შეჯიბრებაზე საპრიზო ადგილზე გასვლა შეძლო. სულ ეს იყო. ამას დაერთო გაუთავებელი ტრავმები და ოპერაციები ხერხემალზე, მხარზე, ორივე ფეხზე.



* * *

2011 წლის 29 იანვარს ზურაბ ზვიადაურმა კიმონო სახლში დატოვა და თბილისის სპორტის სასახლეში კოსტიუმში გამოწყობილი მივიდა. იმ დღეს ზვიადაური და ჩვენი კიდევ ერთი ნარმატებული მოჭიდავე — ნესტორ ხერგიანი დიდი სპორტიდან გააცილეს. ზვიადაური ნერვიულობდა, სათქმელს თავს ვერ უყრიდა, მერე კი თავი ხელში აიყვანა და იქ შეკრებილ საზოგადოებას, მთელ საქართველოს მადლობა გადაუხადა ქომაგობისა და სიყვარულისთვის: „სპორტიდან წასვლა ადვილი საქმე არ არის. მეც ძალიან გამიჭირდა, ბევრ რამეზე მწყდება გული. განსაკუთრებით იმაზე, რომ სპორტში გაცილებით მეტის მიღწევა შემეძლო.“

ისტორია ამით არ დასრულებულა. ზურაბ ზვიადაური საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთნელი გახდა, ამ პისტიზე რამდენიმე თვე იმუშავა, მერე კი გამოაცხადა — ისევ ტატამს უნდა დავუპრუნდე, შეჯიბრებებში გამოვიდე და ლონდონის ოლიმპიადის საგზურისთვის ვიბრძოლო.

მაგრამ, ეს უკვე სხვა ისტორიაა.

კოპალა თავდაპირველად ხორციელი იყო. ბაგშეობაში დევებმა მოიტაცეს. ძალიან ცუდ პირობებში ჰყავდათ. ბევრს ამუშავებდნენ, ისეთ საქმეს ავალებდნენ, რაც მის ძალას ალებატებოდა. ძილი არ ჰქონდა, მოსვენება და საჭმელი. რომ წამოიზარდა, გაპარვა მოხერხს. თავი ბერებს შეაფარა. მათთან ერთად ლოცულობდა, თან დამბადებელს ძალასა სთხოვდა. თხოვნა შეუსრულდა, ისეთი ძალა მიიღო, დევებს რომ მორეოდა. კოპალა ძალიან ლამაზი ყოფილა, მხარბეჭიანი და გულადი, ნადირობასა და კილდაობაში დიდად განთქმული.

ზურაბ ზვიადაური

დაიბადა 1981 ნოემბერი 2 ივლისს ახმეტაში. ძიუდოისტი (90 კგ). პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში (2004, ათენი, XXVIII ოლიმპიადა), მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი (2001, 03), ევროპის ორგზის ჩემპიონი გუნდურ (2002, 03) და მესამე პრიზიორი პირად შეჯიბრებაში (2002), მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში (2002), მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (2000), მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშების მეორე პრიზიორი (1998). ღირსების ორდენის კავალერი.



ZURAB ZVIADAURI

Judoist (90 kg), was born on July 2, 1981. He is the first-ever Georgian Olympic champion (XXVIII Athens, 2004) in the history of independent Georgia. Zviadauri is twice silver medalist (2001, 2003) of the world championships, twice champion of Europe in the team event (2002, 2003) and bronze medalist in the individuals contest. He is the silver medalist of the world cup team contest (2002), world champion among the youth (2000) and silver medalist of the world juniors games (1998). He is decorated with Order of Honor.